პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., პეტიტი ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

პარასკევი, 14 აგვისტო 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კპ. № 185 (1340)

დღიური

— ლუცკის (პოლონეთი) ციხეში პოლიტიკურ პატიმართა შორის მღელვარება დაიწყო.

— სამხრეთ-სლავიის პროფკავშირები პროფმოძრაობის მთლიანობას უჭერენ მხარს.

— საბჭოთა საფეიქრო მრეწველობის დელეგაცია მანჩესტერში (ინგლისი) ჩავიდა.

— ამხ. კერჟენცევი მიიღო მუსოლინიმ.

— გერმანიის რეიხსტაგი ამ კვირაში შესწყვეტს მუშაობას.

სიმართლე დაინახეს

— საქართველო წარმოადგენდა ისეთ ადგილს, რომელიც ყველაზე უფრო იზიდავდა გერმანიის დელეგაციას,—აცხადებს უკანასკნელი. სავსებით გასაგებია ჩვენი ქვეყნისადმი ასეთი განსაკუთრებული ინტერესი გერმანელ დელეგატების მხრით, რომელთა დიდ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენენ.

მეორე ინტერნაციონალი ერთ დროს მენშევიკების „დემოკრატიულ" საქართველოზე მითითებით ცდილობდა საბჭოთა სისტემისა და კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა-ტაქტიკის „დამარცხებას".

როცა მენშევიკების ძალაუფლება დაემხო ჩვენში, ამ ფაქტს საბჭოთა ხელისუფლების მტრები ხსნიდენ არა „დემოკრატიული" რეჟიმის შინაგანი გაკოტრებით, არა მენშევიკების [illegible] მშრომელ ხალხის მიმართ, არამედ „მოსკოვის" მიერ მოხდენილ „ოკუპაციით". მსოფლიო მენშევიზმს, კერძოდ გერმანიის მენშევიზმს, დღემდე არ შეუწყვეტია ბოროტი სიცრუისა და ცილისწამების კამპანია საქართველოში ვითომდა არსებულ „საშინელ საოკუპაციო რეჟიმის" შესახებ.

ამასთან მეორე ინტერნაციონალის ბელადებს არ სურთ აღიარონ, რომ ჩვენი ქვეყანა სწორედ საბჭოთა სისტემის წყალობით შემდგარია სამეურნეო და კულტურულ აღორძინების გზაზე, რომ აქ სოციალისტური აღმშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს, მიუხედავად ათასგვარი შინაგანი და საგარეო ხასიათის დაბრკოლებებისა. ამის აღიარება მათ მიერ იქნებოდა საკუთარი თავის გამათრახება, ჯვარისცმა იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც ისინი ადგანან თავიანთ ქვეყნებში.

საქართველო, რომელმაც განიცადა „დემოკრატიული" რეჟიმი და რომელმაც ასეთი შესცვალა საბჭოთა სისტემით, საუკეთესო მასალას აძლევს მეორე და კომუნისტური ინტერნაციონალების გზების შესადარებლად, „დემოკრატიის" და საბჭოთა წყობილების შესაფასებლად.

ამიტომ, ვიმეორებთ, გასაგებია, რომ „საქართველო წარმოადგენდა ისეთ ადგილს, რომელიც ყველაზე უფრო იზიდავდა დელეგაციას".

დელეგაციამ დაჰყო ჩვენს რესპუბლიკაში კვირა-ნახევრამდი და დაწვრილებით გაეცნო იმას, რაც იყო წინედ, მენშევიკების დროს, და რაც არის ეხლა. ამ შესწავლის შედეგია ის განცხადება, რომელიც იბეჭდება დღეს.

— საქართველო სარგებლობს სრული ნაციონალური დამოუკიდებლობით; არა ოკუპაცია, არამედ საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომელიც ერთად-ერთი გარანტია მისი დამოუკიდებლობის და სამეურნეო აღორძინების.

— საქართველოში არსებობს მუშების და გლეხების ხელისუფლება, რომელსაც აქტიურად უჭერს მხარს მთელი მშრომელი მოსახლეობა.

— აქ სწარმოებს უდიდესი სოციალისტური აღმშენებლობა და მეტად მნიშვნელოვანი შედეგებიცაა მიღწეული ქვეყნის ეკონომიკის განსავითარებლად, ხალხის კულტურული დონის ასაწევად.

— მთავრობა მუდამ და განუწყვეტლივ ზრუნავს მუშების და გლეხების კეთილდღეობაზე.

— დამყარებულია სრული ნაციონალური მშვიდობიანობა, უზრუნველყოფილია ყველა ერების თავისუფლება,—წინანდელი განუწყვეტელი ეროვნულ შუღლისა, შევიწროებისა და ომების ნაცვლად.

რა თქმა უნდა, რომ ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაკლია, ჩვენ ვიმყოფებით აღმშენებლობის დასაწყისში, გასაკეთებელი უამრავია. ეს ჩვენ კარგათ ვიცით და დელეგაციაც აღნიშნავს.—მაგრამ, ამბობს ის, თქვენ გაგიკეთებიათ ყველაფერი, რაც თქვენს ადამიანურ ძალას შეეძლო, რათა ცხოვრებაში განგეხორციელებიათ მარქსის და ენგელსის მოძღვრებაო.

ასეთია ურყევი სინამდვილე და ამას საჯაროდ აღიარებენ გერმანის პროლეტარიატის წარმომადგენლები.

სრული სიყალბეა ის ხმები, რომლებსაც თქვენი ქვეყნის შესახებ ავრცელებს უცხოეთში ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესაო,—ასკვნის დელეგაცია.

აქედან, გერმანელი დელეგატები ვალდებულათ რაცხენ თავის თავს, სამშობლოში დაბრუნებისას ამცნონ იქაურებს სიმართლე საბჭოთა საქართველოს შესახებ.

მათ თვითონ ესმით, რომ ადვილი არ არის ამის შესრულება. კაუცკები თუ ჟორდანიები არაფერს დაზოგავენ, რომ ჩირქი მოსცხონ დელეგაციას და გააქარწყლონ მისი მოგზაურობის შედეგები. მაგრამ ეს გარემოება ჩვენ ხელს არ შეგვიშლის ვიბრძოლოთ მუშების საქმისათვისო, ამბობენ გერმანელი ამხანაგები.

და ეჭვი არ არის, რომ ისინი, მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა ჭეშმარიტ სიტყვას მიაწოდებენ ჩვენს შესახებ გერმანიის მუშათა კლასს და ნამდვილი ფაქტებით ხელში ამხელენ ყოველი ჯურის ჭორიკანებს.

ამავე დროს გერმანელ მუშებმა აქ თავის თვალით დაინახეს, თუ როგორ შეიძლება „მარქსის და ენგელსის მოძღვრების განხორციელება ცხოვრებაში", თუ რაა საჭირო პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის. და ეს შეძენილი გამოცდილება სწორედ მენშევიზმის, მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკის წინააღმდეგ მეტყველებს. დელეგატები გააცნობენ თავის ამხანაგებს გერმანიაში ჩვენს მაგალითს, რათა გამოიყენონ იგი ბურჟუაზიასთან ბრძოლისათვის და ძალა-უფლების დასაპყრობად.

რა აფერხებს ქალთა მოძრაობას

საქართველოში ამჟამად სტუმრად მყოფ გერმანელ მუშებს შორის ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: მთელ დელეგაციაში, რომელიც ჩვენში და საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა კუთხეებში 70 კაცს უდრის, ერთი დელეგატი ქალი არ იმყოფება.

ცხადია, ეს შემთხვევითი მაგალითი ამის საუკეთესო მაჩვენებელია, რომ ბურჟუაზიულ ცივილიზაციის ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანაში, რევოლიუციის შემდეგაც არ შერყეულა იმ ეკონომიურ და იდეოლოგიურ მონობის ხუნდები, რომელსაც საუკუნოებით ჰქმნიდა კერძო საკუთრებაზე აშენებული საზოგადოება.

ოქტომბრის რევოლიუციამ დიამეტრალურად წინააღმდეგი მდგომარეობა შეჰქმნა. ჩვენში ერთხელ და სამუდამოთ ძირფესვიანათ ამოყრილია კაცობრიობის ყოველგვარ მონობის ფესვები და მშრომელი მასების წინაშე, როგორც ეკონომიურ, ისე უფლებრივ და სქესის თავისუფლების ფართე ასპარეზია გაშლილი.

სამწუხაროთ ამ მონაპოვარს ჩვენ ვერ ვიყენებთ დღეს მთელი თავისი მნიშვნელობით. განსაკუთრებით ჩამორჩენილია უკან ქალთა მოძრაობა და მათი საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში მონაწილეობა.

მართალია წარსულმა არჩევნებმა ერთგვარი ცვლილება შეიტანა სოფლის აღმასკომების პირად შემადგენლობაში და ქალთა რიცხვმა შედარებით წინანდელთან შესამჩნევათ მოიმატა, მაგრამ ჯერ კიდევ შორს ვართ იმ მდგომარეობიდან, როცა მშრომელი მასების დედრობითი სქესს დაეთმობა ჩვენს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანოებში მისი რიცხვის და ამოუწურავ ენერგიის შესაფერი ადგილი.

გამოცდილებით ვიცით, რომ დედაკაცმა, სადაც კი შეუხვდა მას მუშაობა საზოგადოების სასარგებლოდ, უდიდესი კეთილსინდისიერება და საქმისადმი სიყვარული გამოიჩინა. მიუხედავათ ამისა, დღესაც კიდევ უსარგებლოთ და უმიზნოთ იკარგება ათეულ მილიონ მშრომელ ქალთა ენერგია, რომელსაც სოციალისტურ აღმშენებლობის საქმისათვის უდიდესი სამსახურის გაწევა შეეძლო.

სოფლად ქალთა წამოყენებას და საზოგადოებრივ ასპარეზზე წინ წამოწევას აფერხებს საერთო ჩამორჩენილობა და მამაკაც გლეხების კონსერვატიულობა. პატრიარქალური ტრადიციები იმდენათ [illegible] ჩამჯდარი ძვალში და რბილში ჩვენს სოფელს, რომ მას მეტად უჭირს ქალთა ფაქტიურ თანასწორობის შერიგება.

აქ განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენს გლეხობის შეძლებული ელემენტები, როგორც ყოველ პროგრესიულ დაწყებულებაში, ამ შემთხვევაშიაც ისინი თავგამოდებული მტრები არიან „კაბიანი" თემაღმასკომის ან გლეხკომის თავმჯდომარის და წევრის.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კოოპერატივში, განსაკუთრებით მომხმარებელ დუქანში, დედაკაცს არა ნაკლები მუშაობა შეუძლია გასწიოს, ვიდრე ამას ეწევა დღეს მამაკაცი. ქალმა ყოველთვის უფრო კარგათ იცის ოჯახის თადარიგი და მისი ყოველდღიური მოთხოვნილება. ის მამაკაცზე უფრო კარგათ არჩევს ავსა და კარგს საქონელში და ესმის მისი ღირებულება.

მიუხედავათ ამისა, ჩვენს კოოპერატივებში თითქმის არავითარი ადგილი არ უჭირავს დედაკაცებს. თუ სხვა ორგანოებში სავალდებულო დადგენილების ძალით კიდევ შეხვდებით აქა-იქ დედაკაცებს, კოოპერატივებში მათი რიცხვი ისე მცირეა, რომ ანგარიშშიაც ვერ იქნება მიღებული.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ახალი თაობის აღზრდაზე. ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანათ მიგვაჩნია ბავშთა კომუნისტურ მოძრაობის ხელის შეწყობა და ნორმალური განვითარება. ვისი საქმეა ეს, თუ არა მშრომელი ქალების? ვინ უნდა განახორციელოს ეს ჩვენ მიერ დასახული ამოცანები თუ არა მშრომელ გლეხ და მუშა ქალებმა?

მიუხედავათ ამისა არსად ისე დიდი პროცენტი არაა წერა-კითხვის უცოდინარების, როგორც მშრომელ ქალთა შორის. ცხადია იმ ცოდნით, რომელიც მათ აქვს, შეუძლებელია ასეთ საპასუხისმგებლო დავალების დამაკმაყოფილებლათ შესრულება.

ამიტომ დაუნდობელი ბრძოლა ქალთა მოძრაობის ორთავე მტერს: ერთი მხრივ მამაკაცთა კონსერვატორიზმს და წინააღმდეგობას ქალთა გათანასწორების საქმეში და მშრომელ დედაკაცთა კულტურულ ჩამორჩენილობას, რომელიც წინ ეღობება მათ დაკისრებულ ამოცანების უკლებლივ შესრულებაში.

საბჭოთა დემოკრატიის გაფართოების და გაცხოველების საკითხი უამისოდ სანახევროდაც ვერ იქნება გადაჭრილი.

ა.

გერმანიის მუშათა დელეგაცია საქართველოს შესახებ

გერმანიის მუშათა დელეგაციის საქართველოს ჯგუფმა თბილისიდან გამგზავრების წინ პრესის წარმომადგენლებს გაზეთებში გამოსაქვეყნებლად გადასცა დეკლარაცია, რომლის გერმანულ ტექსტს და ქართულ თარგმანს ქვემოთ ვათავსებთ



An die Arbeiter und Bauern Georgiens!

Liebe Genossen!

Wir haben gestern Euer Land verlassen. Wir sagen Euch für Euren herzlichen Empfang und für die grosse Sympathie, die Ihr uns entgegengebracht habt, unseren heissen Dank.

Georgien war der stärkste Anziehungspunkt für die deutsche Delegation. Heftig waren in Deutschland die Diskussionen über Euer Land und ungeheuer gross die Verleumdungen. Aus diesem Grunde haben wir nahezu 1½ Wochen für das Studium Eures Landes verwendet. Wir haben uns nicht nur auf Eure Hauptstadt Tiflis beschränkt, sondern waren auch in den Republiken Adscharistan und Abchasien und im Innern des Landes.

Wir sind so überaus froh, dass wir Gelegenheit hatten, uns persönlich während dieser Zeit über alles für die Arbeiterklasse Wissenswerte zu informieren und dass wir warum nach unserer Rückkehr der deutschen Arbeiterklasse leichten Herzens berichten können: " Es gibt in Georgiens nichts, was das georgische Proletariat nicht vor dem Proletariat der ganzen Welt verantworten könnte".

Wir haben uns davon überzeugen können, dass Euer Land völlige nationale Unabhängigkeit besitzt, dass die leitenden Regierungs- und Verwaltungsorgane Eures Landes mit einhimischen Kräften besetzt sind, und dass das Gerede Eurer Gegner von einer Okkupation Eures Landes durch "die Moskauer Regierung" sich als völlig unwahr erwiesen hat. Nicht Okkupation, wohl aber engste Zusammenarbeit mit der Sowjetunion haben wir feststellen können. Wir konnten uns von der grossen Hilfe, welche die russische Regierung Euch durch den Bau von elektrischen Stationen, Eisenbahnen, Instandsetzung von industriellen Werken u.s.w. angedeihen lässt, überzeugen. Wir haben ferner festgestellt, dass den nationalen Minderheiten, die in Eurem Lande in grosser Zahl zusammenleben, volle nationale Selbständigkeit und Autonomie gewährt wird, was früher nicht der Fall war, und dass die blutigen Metzeleien, die früher zwischen den verschiedenen Nationalitäten an der Tagesordnung waren, verschwunden sind. Es ist eine unumstössliche Tatsache und es wurde uns von den in Haft befindlichen Menschewiken ausdrücklich bestätigt, dass die jetzige bestehende Regierung und die Zusammenarbeit Georgiens mit Sowjetrussland die einzige Garantie für eine wirkliche Unabhängigkeit Georgiens ist. Dass die Entente, die es nur auf die grossen Naphtagebiete von Baku herum abgesehen hatte, Georgien eine solche Unabhängigkeit niemals gewähren konnte, ist für jeden denkenden Arbeiter klar.

Wir haben mit vielen, darunter auch deutschen Arbeitern persönlich gesprochen, wir waren in den Dörfern bei den deutschen Kolonisten; wir haben die feste ehrliche Ueberzeugung, dass die Mehrheit der Bauern, die von der Regierung das Land der Grossgrundbesitzer erhielten, als auch die Arbeiter, welche die Betriebe der früheren Kapitalisten jetzt selbst verwalten und den wirklichen, starren Achtstundentag besitzen, geschlossen hinter der georgischen Regierung stehen, die dauernd und mit Erfolg bemüht ist, die kulturelle und materielle Lage der Arbeiter und Bauern zu verbessern.

Besonders hervorgehoben werden muss der erfolgreiche Kampf der Regierung gegen das Analphabetentum durch die Gründung und den Ausbau eines Netzes von Schulen auf nationaler Grundlage. Interessant für uns war ferner die Tatsache, dass auch bei den nationalen Minderheiten die Bewegung der jungen Pioniere ebenso wie im übrigen Russland einen ausgesprochenen Massencharakter trägt.

Als wir Eure Erholungsheime angesehen haben, wurde uns so recht der abgrundtiefe Unterschied zwischen Eurem proletarischen Staat und der sogenannten demokratischen Westmächte vor Augen geführt. Bei uns sind Sanatorien und Erholungsheime in erster Linie für die Kapitalisten und Müssiggänger, bei Euch für die Arbeiterschaft. Es gehört ferner zu Eurem grössten Verdienst, dass Ihr die Frau aus jahrhundertelanger Sklaverei zum gleichberechtigten Mitglied der Gesellschaft gemacht hat. Was uns Deutschen besonders auffiel, war das enge solidarische Bündnis zwischen den Arbeitern und Bauern Eures Landes.



Wir waren auch in Euren Gefängnissen; und ~~wir~~ haben ~~xxxxxxxxx~~ ~~Seitenkraft~~ eingehend mit den gefangenen Menschewiki gesprochen. Wir [illegible] ~~sagen es offen heraus, wir waren auf das angenehmste über die im Gefängnis bestehenden Zustände überrascht. Der deutsche Arbeiter~~ [illegible]

Alle anderen Meldungen, welche über Euer Land von der bürgerlichen Presse in die Welt gesetzt ~~xxxxx~~, und die leider auch zum ~~xxxxxxxxx~~ Teil von der sozialdemokratischen Presse nachgedruckt wurden sind unwahr. Wir verhehlen nicht, dass Ihr noch vieles zu leisten habt, dass Ihr erst am Anfange Eures Aufbaus steht und dass Ihr auf kulturellem Gebiet noch eine grosse Arbeit vor Euch habt, aber wir erkennen auch an, dass Ihr Euer menschenmögliches getan habt um die Lehren von Marx und Engels in die Tat umzusetzen.

Wir beglückwünschen Euch beim unserem Abschied noch einmal zu Eurem begonnenen sozialistischen Aufbau. Wir versprechen Euch nach unserer Rückkehr nach Deutschland, trotz aller uns erwartenden Schwierigkeiten, die Wahrheit über Euer Land zu verkünden. Wir zweifeln nicht daran, dass unsere Feinde uns für bestochen erklären werden, das wird uns aber nicht hindern, für die Sache der Arbeiter einzutreten.

Wir scheiden von Euch in der Hoffnung, dass für die deutsche Arbeiterklasse der Tag nicht mehr fern sein möge, wo sie als herrschende Klasse dem georgischen Proletariat brüderlich die Hände reichen kann.

Für die deutsche Arbeiterdelegation
Gruppe Georgien
Der Vorstand: H. Mehle. H. Mehle
H. Beck, Hein Beck
W. Bennewitz W. Bennewitz

Tiflis 13. August 1925.

საქართველოს მუშებს და გლეხებს

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენ ვტოვებთ თქვენს ქვეყანას. გიცხადებთ მხურვალე მადლობას გულითადი მიღებისათვის და იმ დიდი სიმპატიისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენდამი.

საქართველო წარმოადგენდა ისეთ ადგილს, რომელიც ყველაზე უფრო იზიდავდა გერმანიის დელეგაციას. გერმანიაში დისკუსია თქვენი ქვეყნის შესახებ მეტად მწვავე იყო და ცილისწამება კი მის შესახებ მეტად უჩვეულო. ამის გამო ჩვენ კვირა ნახევარი მოუნდით თქვენი ქვეყნის შესწავლას. ჩვენ არ დავკმაყოფილდით მარტო თქვენი დედაქალაქ თბილისით; ჩვენ ვიყავით აგრეთვე აჭარისტანის და აფხაზეთის რესპუბლიკებში და თქვენი ქვეყნის სხვა ადგილებში.

მეტად მოხარული ვართ, რომ ამ დროის განმავლობაში ჩვენ საშუალება გვქონდა პირადათ დაგვენახა ყველაფერი ის, რაც მუშათა კლასის ყურადღების ღირსია და ამის გამო გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ჩვენ თამამათ შეგვიძლიან ვუთხრათ გერმანიის მუშათა კლასს: „საქართველოში არ არის არაფერი ისეთი, რამ, რისთვისაც საქართველოს პროლეტარიატს არ შეეძლოს პასუხის მიცემა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისათვის".

ჩვენ საშუალება გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ თქვენს ქვეყანას აქვს სრული ნაციონალური თავისუფლება, რომ თქვენი ქვეყნის მთავრობა და ხელმძღვანელი ორგანოები ადგილობრივი მცხოვრებლების ხელშია და თქვენი მტრების ლაყბობა თქვენი ქვეყნის ოკუპაციის შესახებ მოსკოვის მთავრობის მიერ მთლიანად სიცრუედ აღმოჩნდა. ოკუპაცია კი არა, არამედ მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან,—აი რა დავინახეთ ჩვენ. ჩვენ საშუალება გვქონდა დავრწმუნებულიყავით იმ დიდ დახმარებაში, რომელსაც გიწევთ თქვენ რუსეთის მთავრობა ელექტრო-სადგურების, რკინისგზების, წარმოებების და სხვათა მოწყობით.

შემდეგ ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ეროვნულ უმცირესობას, რომლებიც მრავლად სცხოვრობენ თქვენს ქვეყანაში, მინიჭებული აქვთ სრული ნაციონალური დამოუკიდებლობა და ავტონომია, რაც წინეთ არ იყო, და რომ სისხლისმღვრელი შეტაკებანი, რომლებიც წინეთ ყოველდღიური მოვლენა იყო ცალკე ეროვნებათა შორის, — ეხლა გაქრა.

სრულიად ურყევი ფაქტია — და ეს დაადასტურეს ციხეში მყოფმა მენშევიკებმა, — რომ არსებული მთავრობა და საქართველოს თანამშრომლობა საბჭოთა რუსეთთან საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის ერთად-ერთი გარანტიაა.

ყოველ მოაზროვნე მუშისათვის ნათელია, რომ ანტანტა, რომელსაც ხელში უნდოდა ჩაეგდო ბაქოს ნავთის წყაროები, ვერასოდეს ვერ მისცემდა საქართველოს ასეთ დამოუკიდებლობას.

ჩვენ პირადათ ვესაუბრეთ მრავალ მუშებს (მათ შორის გერმანელ მუშებსაც), ჩვენ ვიყავით გერმანელ კოლონისტების სოფლებში. ჩვენ მივიღეთ მტკიცე და პატიოსანი რწმენა, რომ გლეხების უმრავლესობა, რომლებმაც მთავრობისაგან მიიღეს მსხვილი მემამულეების მიწები და აგრეთვე მუშები, რომლებიც ეხლა თვითონ განაგებენ წინანდელი კაპიტალისტების წარმოებებს და რომლებსაც აქვთ ნამდვილი და მტკიცე 8 საათის სამუშაო დღე, —ყველა ისინი მხარს უჭერენ საქართველოს ეხლანდელ მთავრობას, რომელიც მუდამ და წარმატებით ზრუნავს გლეხების კულტურულ და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წარმატებითი ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ნაციონალური სკოლების მოწყობის და შექმნის გზით.

ჩვენთვის საინტერესო იყო აგრეთვე დავრწმუნებულიყავით იმაში, რომ მცირე ეროვნებათა პიონერების მოძრაობას ისეთივე მკაფიოთ გამოხატული მასიური ხასიათი აქვს, როგორც რუსეთში.

როდესაც ჩვენ ვათვალიერებდით თქვენს დასასვენებელ სახლებს, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ღრმა და საფუძვლიანმა განსხვავებამ თქვენს პროლეტარულ სახელმწიფოსა და დასავლეთის ეგრედწოდებულ დემოკრატიულ ქვეყნებს შორის.

ჩვენში სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები უპირველეს ყოვლისა არსებობენ კაპიტალისტებისა და მუქთახორებისათვის, თქვენში კი მუშებისათვის.

შემდეგ თქვენი დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თქვენ გაანთავისუფლეთ ქალი მრავალსაუკუნოებრივი მონობისაგან და გახადეთ ის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად.

ჩვენ, გერმანელები, განსაკუთრებით გაგვაკვირვა იმ მჭიდრო სოლიდარობამ და კავშირმა, რომელიც არსებობს თქვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს შორის.

ჩვენ ვიყავით აგრეთვე თქვენს ციხეებში, სადაც ვესაუბრეთ დაპატიმრებულ მენშევიკებს. ყველაფერი ის, რაც ჩვენ იქ ვნახეთ, სავსებით შეეფერება იმას, რაც ვნახეთ სხვა ადგილებში და რაზედაც ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ სპეციალურ ანგარიშში.

სხვა ყველა დანარჩენი ცნობები, რომლებსაც ავრცელებს ბურჟუაზიული პრესა თქვენი ქვეყნის შესახებ მთელს მსოფლიოში და რომლებსაც სამწუხაროდ ნაწილობრივ ბეჭდავენ სოციალ-დემოკრატიული გაზეთებიც, ყალბია.

ჩვენ არ ვმალავთ, რომ თქვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოთ, რომ თქვენ მხოლოდ ეხლა იწყებთ აღმშენებლობას და თქვენს წინაშე ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა კულტურულ სფეროში. მაგრამ ჩვენ ამასთანავე ავღნიშნავთ, რომ თქვენ გააკეთეთ ყველაფერი ის, რაც ადამიანის შესაძლებლობის ფარგლებში იყო იმისათვის, რომ ცხოვრებაში გაგეტარებიათ მარქსის და ენგელსის მოძღვრება.

წასვლის წინ ჩვენ ერთხელ კიდევ გისურვებთ გამარჯვებას თქვენს სოციალისტურ აღმშენებლობაში. ჩვენ პირობას გაძლევთ, რომ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, მიუხედავათ ყველა მოსალოდნელი დაბრკოლებებისა, ჩვენ ვიტყვით სიმართლეს თქვენი ქვეყნის შესახებ.

ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ჩვენი მტრები ჩვენ მოსყიდულებათ გამოგვაცხადებენ, მაგრამ ეს ხელს არ შეგვიშლის ვიბრძოლოთ მუშათა საქმისათვის.

ჩვენ გემშვიდობებით თქვენ იმ იმედით, რომ გერმანიის მუშათა კლასისათვის შორს არ არის ის დღე, როდესაც ის, როგორც გაბატონებული კლასი, შესძლებს ძმური ხელი გაუწოდოს საქართველოს პროლეტარიატს.

გერმანიის მუშათა დელეგაციის
საქართველოს ჯგუფის სახელით
ჰ. მელე.
პრეზიდიუმი: ჰ. ბეკ.
ვ. ბენევიც.

თბილისი
1925 წლის 13 აგვისტო.

დელეგაციის გამოსათხოვარი წერილები

An die Arbeiter von Tiflis!
Heute verlassen wir Euch [illegible] die Tage
in Georgien werden [illegible] unvergesslich bleiben
[illegible] der Lüge über Euer Land
[illegible] in unser aller [illegible], das ist
das Fazit unserer Reise
13. August 25.
Hans Beck

თბილისის მუშებს!

დღეს ჩვენ გტოვებთ თქვენ. საქართველოში გატარებულ დღეებს ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ. ჩვენი ამოცანაა მომავალში—მივაღწიოთ იმას, რომ იმ სიყალბიდან, რომელსაც თქვენი ქვეყნის შესახებ ავრცელებენ, არაფერი არ დარჩეს.

13 აგვისტო 25. ჰანს ბეკ.

Der georgischen Jugend
zum Abschied die besten
proletarischen Grüße
und ein herzliches
Auf Wiedersehen!

საქართველოს ახალგაზრდობას ჩვენი წასვლის წინ გულითადი პროლეტარული სალამი და გულწრფელი—ნახვამდის!

ა. ეშენბერი.

ეხლა ჩვენ გავეცანით საქართველოს, ვნახეთ ის საკუთარი თვალებით. და ჩვენ დავრწმუნდით, რომ აქ გამეფებულია ნამდვილი პროლეტარული სოლიდარობა საბჭოების [illegible] ფედერაციის ყველა დანარჩენ მოსახლეობასთან. ჩვენ დავრწმუნდით, რომ აქ გამეფებულია სიხარული შრომის აღმშენებლობის გამო, რომელსაც ხელმძღვანელობენ თავდადებული და ენერგიული ბელადები.

ა. ბეერ.

A. Baer.

უპირველეს ყოვლისა—მხურვალე მადლობა ამხანაგური სტუმართმოყვარეობისათვის. შემდეგ—სრული რწმენა იმისა, რომ ჩვენ შევსძლებთ გავფანტოთ ბურჟუაზიული ჭორები თქვენი მშვენიერი, ნამდვილათ-თავისუფალი ქვეყნის შესახებ.

პროლეტარული სალამით ველჰეფერ.

Wellhöfer

[illegible]

Tiflis 13. 8. 25

ჩვენი გამგზავრების წინ ერთხელ კიდევ გიგზავნით ძმურ სალამს და გისურვებთ შემდგომ გამარჯვებას. განსაკუთრებული სალამი ჩვენს ამხანაგებს პროფესიით—ქართველ რკინის-მჭედლებს. მე ვისურვებ, რომ რაც შეიძლება ჩქარა დადგეს ის დრო, როდესაც ჩვენ გავერთიანდებით მჭიდრო კავშირში.

ვილლი [illegible]
რკინისმჭედელი.
თბილისი 13. 8. 25.

დელეგაციის გამგზავრება

დაბრუნება ბათომიდან

აჭარისტანის და აფხაზეთის დათვალიერების შემდეგ გერმანიის მუშათა დელეგაცია გუშინ დაბრუნდა თბილისში.

დილის 8 საათზე დელეგაციის შესახვედრათ სადგურზე თავს იყრიან ადგილობრივი მუშაკები. მატარებელი იგვიანებს. დილის 8 საათის მაგივრად მატარებელი მოდის ათის ნახევარზე. ამ დროისათვის უკვე სადგურის ბაქანზე მრავლად არის ხალხი, რომელიც მოსულა საქართველოს პროვინციაში მოგზაურობიდან დაბრუნებულ დელეგაციის შეხვედრათ და გასაცილებლად.

დელეგატები ჯგუფ-ჯგუფად გადმოდიან მატარებლის ორი უკანასკნელი ვაგონიდან და ესალმებიან მათ შესახვედრათ მოსულ თბილისელ მუშაკებს.

ზოგიერთი მათგანი დატვირთულია აჭარელი და აფხაზ მუშების საჩუქრებით—ბამბუკის დირებით და წითელი დროშებით, რომლებიც წამოცმულია გრძელ და სწორ ბამბუკის ჯოხებზე.

— გუტენ-მორგენ (დილა მშვიდობისა),—მეუბნება გერმანულად ერთ-ერთი დელეგატი ბეერი, რომელთანაც მე თარჯიმანის საშუალებით საუბარი მქონდა მისი თბილისიდან გამგზავრების წინ; ის რაღაცას მიამბობს გერმანულად, მაგრამ, ვინაიდან ენა არ ვიცი, პასუხს ვერ ვაძლევ, მაგრამ მაინც ვგრძნობ ინსტინქტიურად, რომ ის რაღაცას აღფრთოვანებით მიამბობს თავის მოგზაურობის შესახებ აჭარისტანში.

სადგურიდან დელეგატები გაემგზავრნენ სასტუმრო „სასახლის ნომრებში", სადაც ისაუზმეს და შემდეგ საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრნენ კავკავში.

გაცილება

გამგზავრების წინ დელეგაციის თავმჯდომარემ ჰანს ბეკმა პრესის წარმომადგენლებს გადასცა გერმანიის მუშათა დელეგაციის დეკლარაცია ადგილობრივ გაზეთებში გამოსაქვეყნებლათ.

შემდეგ დელეგატებმა თავი მოიყარეს სასტუმროს შესავალ კარებთან, სადაც უკანასკნელათ გამოემშვიდობნენ ადგილობრივ ამხანაგებს და მადლობა გადაუხადეს მათ მეგობრული მიღებისა და გაცილებისათვის.

აქ დელეგატების გარშემო თავი მოიყარა [illegible] ხალხმა. რამოდენიმე მუშამ დამსწრე საზოგადოებიდან დელეგაციის წევრს ბეერს მიმართა შეკითხვებით და დაიწყო მათ შორის მეგობრული მუსაიფი.

— როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე საქართველომ,—ეკითხება ერთი მუშა ბეერს.

— ჩვენ მეტად მდიდარი შთაბეჭდილებებით მივდივართ საქართველოდან. ჩვენ აღტაცებაში მოგვიყვანა თქვენმა ლამაზმა ქვეყანამ და ლამაზმა ხალხმა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოს მშრომელები სრული თავისუფლებით და დამოუკიდებლობით სარგებლობენ და ამაზე მეტს მათ ვერც ერთი ხელისუფლება ვერ მისცემდა.

ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ საშუალება გვექნება გავაბათილოთ ის ჭორები და ყალბი ცნობები, რომლებსაც თქვენს შესახებ ავრცელებენ ბურჟუაზიული გაზეთები.

გერმანიაში დაბრუნებისას ჩვენ გამოვუშვებთ სპეციალურ ანგარიშს, რომელშიაც დაწვრილებით გავაშუქებთ თქვენს ცხოვრებას.

წასვლის წინ ჩვენი სურვილია, რომ საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდეს და თქვენმა მუშათა კლასმა კიდევ უფრო მეტ შედეგებს მიაღწიოს თავის მუშაობაში.

ჩვენ მივდივართ საქართველოდან, მაგრამ ჩვენი თანაგრძნობა და სიმპატიები ყოველთვის თქვენს მხარეზე იქნება,—ასე დაათავა თავისი მოკლე სიტყვა გერმანიის მუშების დელეგატმა ბეერმა.

ამ დროს სასტუმროს მიადგა ორი ავტომობილი, რომლითაც უნდა წაიყვანონ დელეგაცია.

დელეგატები იკავებენ ადგილებს. დელეგაციის თავმჯდომარე ჰანს ბეკი ხელის ხმით გერმანულათ მღერის „ინტერნაციონალს".

თორმეტის ნახევარზე დელეგატები მიემგზავრებიან თბილისიდან. ისინი ერთხელ კიდევ მეგობრულათ ემშვიდობებიან მათ გასაცილებლათ მოსულ ხალხს და მხიარული სახეებით მიეშურებიან თავის სამშობლოსაკენ, რომ იქ გამბედავათ და მტკიცეთ სთქვან სიმართლე საბჭოთა საქართველოსა და მისი პროლეტარიატის შესახებ.

ფ. ბ.

საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

საფრანგეთი მოითხოვს „თავისუფალი მოქმედების" უფლებას გერმანიის მიმართ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში

შესაძლებელათ თვლიან საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას: ერთა ლიგის წესდების მეთექვსმეტე მუხლის გერმანიაზე გავრცელების შესახებ

ჩემბერლენი და ბრიანი შეთანხმდნენ გერმანიისათვის გასაგზავნი პასუხის შესახებ

სიტყვა გერმანიას ეკუთვნის

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი, 13 აგვისტო. „იზვესტია" მოწინავე წერილში ასეთი სათაურით სწერს:

„ჩემბერლენმა და ბრიანმა უნდა გამოიმუშავონ პასუხი გერმანიის ნოტაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ. საფრანგეთის ამოცანა ადვილი არ არის „ვინაიდან მას სურს აიძულოს ინგლისი უარი სთქვას თავის თვალსაზრისზე. რა სურს ინგლისს საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების დროს? მას სურს რეინზე მდგომარეობის მოწესრიგება. მას სურს რათაც არ უნდა დაუჯდეს თავიდან აიცილოს ომი მახლობელ დღეებში. დასავლეთ ევროპის ეკონომიური მდგომარეობა მჭიდროთაა დაკავშირებული ინგლისის მეურნეობის კრიზისთან.

აღმოსავლეთ ევროპის მდგომარეობას ჯერჯერობით გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

საფრანგეთი სცდილობდა, რათა ინგლისმა უზრუნველყოს პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის დასავლეთის საზღვრები, ისე როგორც ის უზრუნველჰყოფს საფრანგეთის აღმოსავლეთის საზღვარს. ამაზე ინგლისმა კატეგორიული უარი განაცხადა. ეხლა საფრანგეთი იბრძვის სხვა პოზიციებზე, იგი სცდილობს მოიპოვოს უფლება დამოუკიდებლობაზე დაიცვას თავისი მოკავშირეების საზღვრები. ეს მოთხოვნილება ეწინააღმდეგება ერთა ლიგის წესდებას, რაც მაინცა და მაინც ბევრად არ აწუხებს ინგლისს, მაგრამ საფრანგეთის ეს განზრახვა ეწინააღმდეგება ინგლისის ინტერესებს, ვინაიდან, თუ საფრანგეთი დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას შეტაკებაში აღმოსავლეთში, ინგლისი ნეიტრალური ვერ დარჩებოდა. ინტერესთა წინააღმდეგობა აქ იმდენად მწვავეა, რომ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ერთი თვალსაზრისის მეორისათვის დაქვემდებარებაზე.

სადავო საკითხს გერმანიასა და მოკავშირეებს შორის წარმოადგენს საკითხი ერთა ლიგის წესდების ე. წ. 16 მუხლის შესახებ—ე. ი. გერმანია ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ერთა ლიგის სამხედრო და ეკონომიურ გამოსვლებში იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელნიც უარს ამბობენ დაემორჩილონ პატივცემულ ერთა ლიგის გადაწყვეტილებებს. მოკლეთ რომ ვსთქვათ, საკითხი ეხება იმას, ვალდებულია თუ არა გერმანია შევიდეს ერთა ლიგაში და მიიღოს მონაწილეობა ბლოკადაში ან ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თუ ეს მოისურვებენ ჟენევის გმირებს. ამ საკითხში, როგორც სჩანს, მიღწეულია შეთანხმება საფრანგეთსა და ინგლისს შორის და მათ არ სურთ გამონაკლისი დაუშვან გერმანიისათვის; ისინი უპასუხებენ მას:

„თქვენ უნდა იყოთ ჩვენი მხარე და მონაწილეობა მიიღოთ თქვენ მეგობართა ბლოკადაში".

ბრიანსა და ჩემბერლენს შორის მოლაპარაკების შედეგებმა შექმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც გერმანია იძულებული იქნება სთქვას „ან ჰო ან არა".

ინგლისის პრესის აზრი

ლონდონი, 12 აგვისტო. ლონდონის პრესის აზრით საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო მოლაპარაკების ყველაზე ძნელ მუხლად ითვლება საფრანგეთის მოთხოვნილება, რომელიც შეეხება გერმანიის წინააღმდეგ მისთვის დამოუკიდებელი მოქმედების უფლების მინიჭებას იმ შემთხვევაში, თუ გერმანიამ დაარღვია საგარანტიო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვალდებულებანი. ეს მოთხოვნილება ეწინააღმდეგება ინგლისელების წინადადებას რომ გადამწყვეტი ხმის უფლება ასეთ მდგომარეობის დროს უნდა ეკუთვნოდეს ერთა ლიგას.

ინგლისის ბურჟუაზიულ პრესას შესაძლებლად მიაჩნია, რათა ინგლისმა უზრუნველყოს გერმანიის დასავლეთის საზღვრები, თუ ეს არ გამოიწვევს შეიარაღებული ძალით გამოსვლის საჭიროებას და ინგლისს არ მოუსპობს გადაწყვეტილების გამოტანის თავისუფლებას,

პრესა ფიქრობს, რომ მოკავშირეები არ იქნებიან თანახმა დააკმაყოფილონ გერმანიის მოთხოვნილება იმის შესახებ, რათა ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლი არ გავრცელდეს გერმანიაზე საყოველთაო განიარაღებამდე.

რა სურს საფრანგეთს

პარიზი, 12 აგვ. ცნობებს ბრიანის და ჩემბერლენის თათბირის შედეგების შესახებ კმაყოფილებით შეხვდნენ, ვინაიდან საფრანგეთი სცდილობს ინგლისთან შეთანხმების მიღწევას იმ აუცილებელი პირობით, რომ საფრანგეთს მიენიჭება მოქმედების თავისუფლება პოლონეთის მიმართ.

ცოტაოდენ შიშს იწვევს ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის პირობები.

პრესა აცხადებს, რომ საფრანგეთი მზადაა წავიდეს ზოგიერთ დათმობაზე ამ საკითხში და დასძენს, რომ ინგლისმა მხედველობაში უნდა იქონიოს თავისი მდგომარეობა, რომელიც აიძულებს მასაც წავიდეს ერთგვარ დათმობაზე.

ექსპერტთა შეთანხმება

პარიზი. 12 აგვ. „ჰავასის" სააგენტოს ლონდონიდან იუწყება, რომ ინგლისელმა და ფრანგმა ექსპერტებმა, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ ბრიანის და ჩემბერლენის თათბირში, შეთანხმდნენ, რომ საფრანგეთის ხელშეკრულების პროექტში ცალ-ცალკე გამოიყოს ის მუხლები, რომელთა დარღვევა წარმოადგენს საბაბს ომისათვის და ის მუხლები, რომელთაც ასეთი ხასიათი არ აქვთ.

ბრიანი ინგლისის მეფესთან

ლონდონი. 12 აგვისტო. 11 აგვისტოს ბრიანი მიიღო ინგლისის მეფემ.

ბრიანის და ჩემბერლენის თათბირის შედეგები.

ლონდონი, 12 აგვისტო. ბრიანის და ჩემბერლენის თათბირი დამთავრდა. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ცნობა ამბობს:

„საუბარის დროს მოხდა სრული შეთანხმება იმ პასუხის შესახებ, რომელიც უნდა გაეგზავნოს საფრანგეთის მთავრობის სახელით გერმანიას. ამას გარდა მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

იტყობინებიან, რომ საფრანგეთის პასუხის ტექსტში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი, მაგრამ სადავო საკითხები მიჩქმალული რჩება. ამრიგად პასუხს რამოდენიმეთ გამოურკვეველი ხასიათი აქვს, რადგან შედგენილია ისე, რომ საბაბი არ მისცეს გერმანიას განაგრძოს დავა. შემდეგი ნაბიჯი იქნება ყველა დაინტერესებული მხარეების კონფერენცია.

რა ხდება პოლონეთში

პოლონეთის ვალუტა განუწყვეტლივ ეცემა

პრესა მთავრობის სამეურნეო პოლიტიკის წინააღმდეგ

კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება

წარმომადგენლის გაგზავნა ბერლინში „საბაჟო ომის" შეწყვეტის შესახებ მოსალაპარაკებლად

მღელვარება ლუცკის ციხეში

ვარშავა, 12 აგვისტო. აუტანელ პირობების გამო ლუცკის ციხეში დაიწყო მღელვარება პოლიტიკურ პატიმართა შორის. ციხეში იმყოფება 200 პოლიტიკური პატიმარი. ადმინისტრაციამ მიმართა შეიარაღებულ ძალას. 10 კაცი ცემის შემდეგ ჩაყრილ იქნა კარცერში.

დაპატიმრებანი

ვარშავა, 12 აგვისტო. ლვოვში და ლუცკში დაპატიმრებულ იქნა მრავალი ახალგაზრდობა კომკავშირის წევრობისათვის.

გერმანელების გადასახლების გამო.

ვარშავა, 12 აგვისტო. პოლონელი გაზეთები, გარდა „რაბოტნიკისა" მოითხოვენ პოლონეთიდან გერმანელების გადასახლებას. „რაბოტნიკი" საჭიროთ სთვლის გადასახლების შეჩერებას, რათა არ გამწვავდეს ურთიერთობა გერმანიასთან. გარდა 10.000 გადასახლებულ გერმანელისა მოსალოდნელია კიდევ 40.000 კაცის გადასახლება.

ოქრო ეცემა.

ვარშავა, 12 აგვისტო. ვარშავის პრესა აღნიშნავს საზღვარ-გარეთულ ბირჟებზე ოქროს კურსის დაცემას. დოლარის არა ოფიციალური კურსი ვარშავაში გაიზარდა 5,8 ოქრომდე.

ოქროს კურსის დაცემის გამო კერძო ბანკებმა შეწყვიტეს თამასუქების აღრიცხვა, რამაც დიდი დაბრკოლება გამოიწვია საშინაო ვაჭრობაში. ფულის ნაკლებობამ ვაჭრობაში კატასტროფიულ ციფრს მიაღწია.

ზემო-სილეზიის მრეწველთა წარმომადგენელი კორფანტი გაემგზავრა ბერლინში შტრეზემანთან მოსალაპარაკებლად გერმანიისა და პოლონეთს შორის საბაჟო ომის შეწყვეტის შესახებ.

პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ვარშავა, 12 აგვისტო. [illegible] სასამართლომ ვოლკოვისკში გლეხ მუიანოვსკის [illegible] პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

„კურიერ პოლსკი" კომუნისტური მოძრაობის შესახებ.

ვარშავა, 12 აგვისტო. „კურიერ პოლსკი" აღნიშნავს, რომ ბოლო დროს მთელ პოლონეთში გაძლიერდა კომუნისტების მუშაობა. ამის დასამტკიცებლათ მოჰყავს მაგალითები, როცა ტელეგრაფის ბოძებზე ჰკიდებენ წითელ დროშებს სახელმწიფოს საწინააღმდეგო წარწერებით. ამის გამო მხოლოდ ბელოსტოკში უკანასკნელ დღეებში შეპყრობილ იქნა 120 კაცი.

არ მოსწონთ მთავრობის ფინანსიური პოლიტიკა.

ვარშავა, 12 აგვ. მთავრობამ გამოუშვა ოფიციალური განცხადება, რომლითაც სცდილობს დაამტკიცოს რომ მას არ გამოუშვია ზედმეტი სახაზინო ხურდა ფულის ნიშნები. ამის გამო გაზ. „ვარშავიანკა" სწერს, რომ ოფიციალური განცხადება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. გაზეთი ამბობს, რომ მთავრობას ურჩევნია, არ დაიცვას თავისი უმსგავსო ფინანსიური პოლიტიკა და აშკარათ აღიაროს ის შეცდომა, რომელსაც ყველა საუცხოვოთ ჰხედავს.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ 20 ივლისისათვის ხმარებაში გამოშვებული იყო 440 მილ. ოქრო. ხურდა ნიშნები კი 260 მილ. ოქრო. ასეთი შეფარდება ხურდა საბანკო ბილეთებთან (3 : 5) არა ნორმალურია, წარმოადგენს და მოწმობს ბიუჯეტის თანასწორობის საფუძვლიან დარღვევას.

„გაზეთი პორანნა" ოქროს დაცემას მიაწერს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გრაბსკის უმსგავსო სამეურნეო პოლიტიკას.

ომი მაროკოში

საფრანგეთ-ესპანეთის ჯარების შეერთება.

პარიზი, 12 აგვისტო. ჰავასის სააგენტოს ტანჟერიდან ატყობინებენ, რომ ანჯერის ტომის უხუცესები, რომლებიც დაკავებული იყვნენ აბდ-ელ-ქერიმის მიერ რიფებისათვის დახმარების გაწევაზე უარის თქმის გამო, განთავისუფლებული არიან. აბდ-ელ-ქერიმმა ტანჟერში მცხოვრებ რიფებს უბრძანა დაბრუნდენ სამშობლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ჩამოერთმევათ ქონება. 50 კაცი უკვე დაემორჩილა ამ ბრძანებას.

ფრანგებმა მიაღწიეს მელილას და შეუერთდენ ესპანეთის რაზმს. მოწინააღმდეგე, რომელსაც არტილერიის ყუმბარებს უშენდენ, მიიმალა მთებში. არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ჯებელს. საფრანგეთის და ესპანეთის ავიაცია ერთად მოქმედებენ. ესპანეთის ჰაეროპლანებმა ცეცხლი გაუჩინეს მოამბოხეთა რამოდენიმე სოფელს.

ფრანგ ჯარისკაცებს არ სურთ ომი.

პარიზი, 12 აგვისტო. იმ იმედით რომ საფრანგეთის დამხმარე ძალები ჩქარა ჩავლენ მაროკოში, საფრანგეთის პრესამ დაიწყო საომარი ტონით ლაპარაკი. ბურჟუაზიული გაზეთები ფიქრობენ, რომ ენკენისთვიდან დაწყებული იქნება გადამწყვეტი ოპერაციები. ბურჟუაზიული პრესა ერთხმათ აცხადებს, რომ საფრანგეთმა არავითარი წინადადებით არ უნდა მიმართოს აბდ-ელ-ქერიმს.

მუშათა გაზეთები კი განაგრძობენ ჯარისკაცების წერილების გამოქვეყნებას, რომელშიაც სჩანს დაღლილობა და გულის გატეხა. მუშათა პრესა მოითხოვს საზავო მოლაპარაკების დაწყებას და რიფების ტომების დამოუკიდებლობის აღიარებას.

გერმანიის რეიხსტაგში

რეიხსტაგის გაშვება

ბერლინი 12 აგვისტო. გერმანიის რეიხსტაგი ამ კვირაში დაამთავრებს მუშაობას, რის შემდეგ შეწყვეტს მუშაობას 19 ნოემბრამდი

რეიხსტაგის დათხოვნის წინ

ბერლინი, 12 აგვისტო. დათხოვნის წინ რეიხსტაგმა დაამტკიცა სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან და შეერთებულ შტატებთან, და აგრეთვე საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება სავაჭრო მოლაპარაკების შესახებ.

გერმანია-ბელგიის სავაჭრო ხელშეკრულება

ბერლინი, 12 აგვისტო. რეიხსტაგში გერმანია-ბელგიის სავაჭრო ხელშეკრულების განხილვის დროს გარეშე საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა გაილაშქრა იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომლის თანახმად თითქოს გერმანიას არ აქვს უფლება აწარმოოს კოლონიალური პოლიტიკა. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის საკითხის პირველსავე განხილვის დროს გერმანიის მთავრობამ გარკვეულათ განაცხადა, რომ გერმანია მოითხოვს ერთა ლიგისაგან სრულ თანასწორობას მანდატების საკითხში. შტრეზემანმა დასძინა, რომ გერმანია შეიტანს პროტესტს ერთა ლიგაში იმ შეზღუდვათა წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია გერმანიის [illegible] კოლონიებში.

ჰინდენბურგი ბავარიაში

ბერლინი, 12 აგვისტო. ბავარიის მთავრობის მიწვევით ეწვია გერმანიის პრეზიდენტი ჰინდენბურგი. ჰინდენბურგმა მიიღო ლანდტაგის და ცალკე ფრაქციების პრეზიდიუმები; მიღების დროს ლანდტაგის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჰინდენბურგს ნდობით ეპყრობიან ის წრეებიც კი, რომლებსაც კომერციული მოსაზრებებით ხმა არ მიუციათ მისთვის.

საპასუხო სიტყვაში ჰინდენბურგმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს გულწრფელი მიღებისათვის და ხაზი გაუსვა, რომ გერმანიისათვის საჭიროა ყველა ძალების გაერთიანება, რომ გადალახული იქნეს დაბრკოლებები ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

გერმანიის კომპარტიის მოწოდება

საბაჟო პოლიტიკის წინააღმდეგ

ბერლინი, 12 აგვისტო. გერმანიის კომპარტიამ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს მუშებს, მოსამსახურეებს და მოხელეებს განურჩევლად პარტიული მიმართულებისა და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას მიიღონ მონაწილეობა მასიურ დემონსტრაციაში მთავრობის საბაჟო პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბერლინის წარმოებებში იმართება საპროტესტო დემონსტრაციები ახალი საბაჟო კანონის წინააღმდეგ.

„როტე ფანე" სწერს, რომ კომპარტიამ დასტოვა რეიხსტაგის სხდომა საბაჟო კანონისათვის კენჭის ყრის დროს, რათა დაენახვებია მუშებისათვის, რომ კომპარტია იძლევა ბრძოლის ნიშანს და სოციალ-დემოკრატები მხარს არ უჭერენ მას.

ნავთის კონცესიები ალბანეთში

ათინა. 12 აგვისტო. ნავთის კონცესიები ალბანიაში განაწილებულია შემდეგნაირათ: ინგლის-სპარსეთის კომპანიამ მიიღო 32 ათასი ჰექტარი. იტალიის რკ. გზის ადმინისტრაციამ—48 ათასი. იტალიურ საზოგადოება „სელემიტმა"—28 ათასი. ერთმა ფრანგულმა კომპანიამ—18 ათასი. „სტანდარტ ოილმა"—20 ათასი. გაზეთების სიტყვით ნავთის ყველაზე მდიდარი ადგილები ერგო ინგლის-სპარსეთის კომპანიას.

აღმოსავლეთში

ეგვიპტე

ეგვიპტის მთავრობის რეაქციონური კანონები

ქაირო, 12 აგვ. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ახლათ გამოცემულმა კანონმა საერთო აღშფოთება გამოიწვია მთელს ეგვიპტეში. ყველა გაზეთებმა მოაწყვეს 24 საათის გაფიცვა ამ კანონის წინააღმდეგ საპროტესტოთ.

მთავრობის მიერ ახლათ შედგენილი საარჩევნო კანონი ერთობ რეაქციონური სულით არის გაჟღენთილი. აქტიურ საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მხოლოდ მოქალაქენი არა უმცირეს 25 წლისა. ამასთანავე 25—40 წლამდე საარჩევნო უფლება შეზღუდულია მრავალი პირობებით, რისგანაც თავისუფლდებიან მხოლოდ 40 წ. გადაცილებული მოქალაქენი.

ეგვიპტელ კომუნისტების საქმე

ქაირო, 12 აგვ. გრძელდება გამოძიება კომუნისტების საქმის შესახებ. საკმაო საბუთების უქონლობის გამო განთავისუფლებულია კიდევ ორი კომუნისტი. დაპატიმრებული რჩება კიდევ 18 კომუნისტი, რომელთაც ჯერ არავითარი ბრალდება არა აქვთ წარდგენილი, ისინი უკვე 7 კვირაა სხედან ციხეში.

არაბეთი

ვინ არის არაბების მტერი?

ქაირო, 12 აგვ. უდიდესი არაბული გაზეთი „ელ ჯეზირა" სვამს საკითხს: ვინ წარმოადგენს არაბების ნამდვილ მტერს—ებრაელები თუ ინგლისელები? გაზეთი მიდის იმ დასკვნამდის, რომ არაბების ნამდვილ მტრებს წარმოადგენენ ინგლისელები, რომლებიც პალესტინაში ატარებენ იმპერიალისტურ პოლიტიკას და ამგვარად ეწინააღმდეგებიან არაბების ნაციონალურ განვითარებას.

რიფების სასარგებლოდ

ქაირო. 12 აგვ. აბდ-ელ-ქერიმის სასარგებლოდ მოწყობილი შეწირულობა დიდის წარმატებით მიმდინარეობს. ყველა წრის არაბები დიდ მონაწილეობას იღებენ შეწირულობაში. მთავრობა ამის შესახებ იღებს საწინააღმდეგო ზომებს.

საბჭოთა კავშირი და

იტალია

ამხ. კრესტინსკი მუსოლინისთან

რომი, 12 აგვისტო. მუსოლინიმ მიიღო კრესტინსკი და ესაუბრა მას ერთი საათის განმავლობაში.

საბერძნეთი

საბჭოთა ექსკურსანტების ჩამოსვლა

ათინა, 12 აგვისტო. საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ექსკურსია პროფ. გოროდეცკის მეთაურობით, რომელიც შესდგება 88 კაცისაგან—ათინიდან მიემგზავრება იტალიაში.

ინგლისი

საბჭოთა კავშირის სავაჭრო მრეწველობის დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 12 აგვისტო. დილის გაზეთებმა მოათავსეს საუბარი საბჭოთა სავაჭრო მრეწველობის დელეგაციასთან. დელეგაცია ჩავიდა მანჩესტერში.

პრესას მოჰყავს ლანკაშირის სავაჭრო წრეების წარმომადგენელთა აზრი. მათ განაცხადეს, რომ ლანკაშირი სიამოვნებით მიაწოდებდა საბჭოთა კავშირს ყოველგვარ მოწყობილობას ნაღდ ფულად, მაგრამ კრედიტების მიცემა 3 წლით შეუძლებელია.

ოსმალეთი

საბჭოთა ნავთის იმედი აქვთ

სტამბოლი, 12 აგვისტო. ადანის დეპუტატმა ზეჰირმა განაცხადა, რომ კომპანია „სტანდარტ ოილის" მონოპოლიური მდგომარეობა ოსმალეთში ადანის რაიონის მცხოვრებთ უჯდება 700.000 ლირა, ვინაიდან ეს კომპანია იღებს თითო ფუთ ნავთში 950 პიასტრს ნაცვლად 600-ისა. დეპუტატი დასძენს, რომ საბჭოთა ნავთის კონკურენცია მოსპობს ამერიკული ტრესტის მონოპოლიური მდგომარეობას.

ამერიკა

რუსეთის სამხატვრო გამოფ

მოსკოვი, 18 აგვისტო. მოს [illegible] რუსეთის [illegible] ზაბარის სიტყვის, მხატვართა სურათების გა განსაკუთრებულმა წარმატებამ დაუბადა გამოფენის კომიტეტს გა ფენის შეერთებულ შტატების ქალაქებში გადატანის შესახებ. ფენილი სურათები დაყოფილი რამოდენიმე ნაწილად დამოუკიდებელი გამოფენის მოსაწყობად ქალაქებში. ასეთი გამოფენები ყობილი იქნება ამერიკის ცენტრებში. კომიტეტს მი ვლ მხრიდან თხოვნები სურათების გადაგზავნის შ აგვისტოში გაიხსნება კანადის ნული გამოფენა, რომელზედაც ყობილია განსაკუთრებული გან ლება რუსეთის მხატვრობის ზამთარში განზრახულია გამოფენების მოწყობა სან-ფრან კოში, ვაშინგტონში, ჩიკაგოში, დელფიაში, ბოსტონში და სხვ ქალაქებში.

პოლონ

პოლონეთის ფირმები და შორის ავტო-გადარბენა

ვარშავა. 12 აგვისტო. პოლონეთის ავტომობილო კლუბის ბიურომ და საავტომობილო ფირმების წარმომადგენლებმა მიმართეს პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტროს თხოვნით გამოარკვიოს რა პირობებში შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ავტოგადარბენაში ლენინგრად—მოსკოვ—თბილის რის.

საბჭოთა მფრინავები ჩინეთში

პეკინი, 18 აგვ. 12 აგვისტოს საბჭოთა აეროპლანები „ლატიშელი მსროლელი", და „კრასნი კამვოლშჩიკ" და საფოსტო ბიპლანი მიფრინდნენ კაიფუში (ხე-ნანის პროვინციის მთავარი ქალაქი პეკინიდან 450 კილომეტრით დაშორებით). საბჭოთა მფრინავებს ზეიმით შეხვდნენ. 2 დღის შემდეგ ჰაეროპლანები განაგრძობენ ფრენას.

ოტტო ბაუერი კაუცკის წინააღმდ

ვენა, 12 აგვისტო. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალ „დერ კამპფ"-ის უკანასკნელ ნომერში, რომელიც მიძღვნილია მეორე ინტერნაციონალის მარსელის კონგრესისათვის, დაბეჭდილია წერილი, რომელშიაც ოტტო ბაუერი სასტიკად აკრიტიკებს კაუცკის ბროშიურას საბჭოთა კავშირის შესახებ.

უპირდაპირებს რა ბოლშევიზმს გაბატონებული კლასების პაციფიზმს, ბაუერი სწერს, რომ მეორე ინტერნაციონალი ორივეს მოწინააღმდეგეა.

ილაშქრებს რა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც, თითქოს მიილტვის ომისაკენ, ბაუერი ასე ახასიათებს კაუცკის შეხედულებას: „არაფერი არ გვემუქრება ისეთი საშიშროებით მომავალში, როგორც ეს პოზიცია ბოლშევიზმის მიმართ, რომელსაც ურჩევს კაუცკი ინტერნაციონალს. აშკარაა, რომ ბოლშევიკები წარმოადგენენ ისეთ პარტიის, რომელსაც მხარს უჭერს რუსეთის პროლეტარიატის ნაწილი; ეს უეჭველათ რევოლიუციონური სოციალისტურია". რამდენადაც და არ უნდა იყვეს ვება დესპოტიურ და დემოკრატ სოციალიზმს შორის, მაინც საჭიროა, ბაუერის აზრით ბული იქნეს საერთო ინტერ

ბაუერი ფიქრობს, რომ მარტოვმა და აბრამოვიჩმა პოზიცია დაიჭირეს ბოლშევ მიმართ, როდესაც მათ უარი ბოლშევიკებთან იდეურ თანამ ლობაზე, მაგრამ ამავე დროს ყეს მათი დაცვა კონტრრევ ციისაგან.

ბაუერი მიუთითებს, რომ მ ლის კონგრესმა იქონიოს გამბ ბა წამოაყენოს ეს მნიშვნელ საკითხები და გვერდი არ აუხვიოს გადაწყვეტას [illegible] ბის დაცვის გულისათვის.

ამას გარდა ჟურნალში და ლია კაუცკის წერილი, რომე ის ეკამათება დანს და ან თავის წინანდელ თვალსაზრის.

მოსულის საკითხი

ერთა ლიგის კომისიის მოხსენება

ლონდონი. 12 აგვისტო. გაზ. „ტაიმსში" მოთავსებულია მოკლე ანგარიში ერთა ლიგის კომისიის მოხსენებისა მოსულის საკითხის შესახებ.

კომისიის საერთო დასკვნა ასეთია: თუ მოსულის რაიონი ჩათვლილი იქნება ირაქის შემადგენელ ნაწილათ, მაშინ შეუძლებელი იქნება მოისპოს ირაქზე ინგლისის ზედამხედველობა ოთხი წლის შემდეგ. მაშინ ერთა ლიგის ზედამხედველობა ირაქზე რომელიმე სახელმწიფოს საშუალებით უნდა გაგრძელდეს კიდევ 20—25 წელს. წინააღმდეგ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა, ეს რაიონი დაუბრუნდეს ოსმალეთს, რომლის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა ბევრათ უფრო უკეთესია, ვიდრე ერთა ლიგის ზედამხედველობას მოკლებულ ირაქისა.

თუ ინგლისის მანდატი ირაქზე კიდევ გაგრძელდა, მაშინ კომისია რჩევას იძლევა, მოსულის ქურთებს მიეცეთ ადმინისტრატიული და კულტურული ავტონომია.

შემდეგ კომისია საჭიროთ სცნობს: თუ ერთა ლიგის მანდატი არ იქნება დაცული, მაშინ აუცილებელი ხდება ტერიტორიის ახალი გადამიჯვნა და მაშინ სამიჯნო ხაზი გაივლის მცირე ზაბას ხაზზე (ტიგრის შესართავი), რომელიც ერთვის ტიგრს მოსულსა და ბაღდად შუა, ამ შემთხვევაში მოსული რჩება ოსმალეთის მფარველობის ქვეშ და ქურთების ზოგიერთი მნიშვნელოვანი რაიონები კი სულეიმანიე და კიან ერთად გადადიან ხელში.

მოხსენება, როგორც ეტყობა, ეხება ქრისტიან აისორების მ მარეობას.

ამ მოხსენების გამო „ერ ნიუ სწერს: „ინგლისი იმყოფება ს ზულ საკითხის წინაშე. მოხს მას ორი არჩევანს აძლევს: ან ლებს დაუბრუნოს მოსულის ვი ტი ან გააუქმოს. ირაქთან დად ლი ხელშეკრულობა, რომლის ძ თაც მას უნდა განთავისუფლ სამანდატო ტერიტორია 1928 ში. მოხსენებაში აღნიშნულია ძლებლობა ირაქის მანდატის სახელმწიფოებზე გადაცემისა.

„დეილ ჰერალდი" სწერს, მოსულის სადაო რაიონები, ძალიან მოკლე პერიოდებისა, ტორიულათ არასდროს არ ყო ირაქის მფლობელობაში. გ უმატებს, რომ კომისიის მოხს აიძულა ინგლისის დაინტერეს პირები, ჩამოიხსნან ნიღაბი და აშკარაონ თავიანთი ნამდვილი ხვები.

„რაც უნდა მოხდეს, ინგლის ლიდან არ გაუშვებს მოსულის თის რაიონებს და იმათ დასავ კი უეჭველათ ეპირება ხელკ მთების სტრატეგიული ადგი რაც იმყოფება ზუაგულ ქურთის ში საბჭ. კავშირიდან რაღაც ას ვერსის დაშორებით.

ოთხშაბათს, 19 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია თბილისის

აღმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი.

1. მოხსენება თბ. მაზრაში კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ.
2. მოხსენება საზოგადო [illegible] მსვლელობის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

2—1 გ. 1619

რა ხდება უცხოეთში.

„დემოკრატიულ" ჩეხო-სლოვაკიაში

1926 წელს უნდა მოხდეს ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის ხელახალი არჩევნები. მმართველი კოალიცია, რომელიც შესდგება ნაციონალ-დემოკრატებისაგან, აგრარიებისაგან, კლერიკალებისაგან, ნაციონალ-სოციალისტებისა და სოციალ-დემოკრატებისაგან, შიშობს, რომ მომავალ არჩევნებში ის დამარცხებული იქნება. ეროვნული უმცირესობანი, რომლებიც ჩეხო-სლოვაკიის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტს შეადგენენ, ოპოზიციაში უდგანან ჩეხთა სახელმწიფოს. კომპარტიის გავლენა იზრდება დიდი აგიტაცია-პროპაგანდის წყალობით; ბურჟუაზიის თანდათანობით შორდებიან „ეროვნულ პარტიებს". ბურჟუაზიის ბანაკში განუქინდიბა და კოალიციონურ პარტიებს ეკარგებათ საპარლამენტო უმრავლესობის შესაძლებლობა. სოციალ-დემოკრატები დარწმუნებული არიან, რომ მომავალ არჩევნებში ისინი რამდენიმე ადგილს დაკარგავენ კომუნისტების სასარგებლოდ. აგრარიებს ემუქრება მემარცხენე ფრთა. ნაციონალ-დემოკრატებს აშინებთ ეკონომიური პარტიის გაძლიერების შესაძლებლობა. რომ ჩეხის თვითეულმა პარტიამ მომავალი არჩევნების დროს რამდენიმე ადგილი დაკარგოს პარლამენტში და ეს ადგილები ამ ახალი, თუმცა წვრილი, პარტიების ხელში გადავიდეს, მაშინ ადვილი შესაძლებელია შეიქმნეს ისეთი მდგომარეობა, რომ ჩეხის პარტიები მომავალ არჩევნებში ვერ მიიღებენ უმრავლესობას.

რომ ეს საფრთხე თავიდან აიცილოს, მთავრობის კოალიციამ შეიტანა პარლამენტში საარჩევნო რეფორმის კანონპროექტი, რომელიც მთლიანად მიმართულია წვრილი პარტიების წინააღმდეგ. ამ კანონპროექტის ერთად-ერთი მიზანია ძალაუფლების შენარჩუნება კოალიციონური პარტიების მიერ.

ახალი კანონით, არჩევნები უნდა მოხდეს მეოცდარვე დღეს საარჩევნო კამპანიის დანიშვნის დღიდან. ეს რასაკვირველია, ყველაზე საზარალო კომუნისტებისათვის, რადგან ასეთი მოკლე დროის განმავლობაში შეუძლებელია ფართო საარჩევნო კამპანიის ჩატარება მშრომელთა ფართო მასებში. გარდა ამისა, კანონპროექტის მიხედვით, ადგილობრივ ადმინისტრაციას საარჩევნო კამპანიის დაწყების დღიდან 16 დღის განმავლობაში უნდა წარედგინოს კანდიდატთა სიები, ხელმოწერილი 100 ამომრჩევლის მიერ. ამომრჩეველთა ხელისმოწერა ოფიციალურად უნდა იყოს დადასტურებული. ყველაფერი ეს ნოყიერ ნიადაგს ქმნის ბიუროკრატიზმისა და ადმინისტრაციის თვითნებობისათვის. საკანდიდატო სიების დასაბუთებით [illegible] მარჯვენის მანევარი [illegible] თვით პარტიებმა, რომლებსაც საკანდიდატო სიების წარდგენის დროს, [illegible] ავანსი.

პარტიამ, რომელიც ვერც ერთ მანდატს ვერ მიიღებს, [illegible] მთელი გაწეული ხარჯები, [illegible] ამომრჩევლები, რომლებმაც საკანდიდატო სიას ხელი მოაწერეს, ვალდებულნი არიან საარჩევნო ხარჯების ანაზღაურებისათვის. ამ მიზეზების მიხედვით ამომრჩევლები [illegible], რომ მათ ხელი არ მოაწერონ ცალკე ოპოზიციური პარტიების საარჩევნო სიებზე.

მაგრამ ყველაზე [illegible] ეს წინადადებაა, იმ გაერთიანებასთან შედარებით, რომელსაც კანონპროექტით მიმართავენ მანდატების განაწილების დროს.

ჩეხო-სლოვაკიაში ამჟამად არსებობს პროპორციონალური საარჩევნო სისტემა. მანდატების განაწილების დროს მხედველობაში იღებდნენ აგრეთვე სხვადასხვა ოლქებში მონარჩომ ხმებს. ვთქვათ, მაგალითად, ერთ რომელიმე ოლქში პარტიის სიამ მიიღო 135.000 ხმა. რადგან ერთი დეპუტატის ასარჩევად საჭიროა 20.000 ხმა, ეს პარტია იღებს 6 მანდატს და რჩება 15.000 ხმა. [illegible] ხმებს ემატება სხვა ოლქებში მონარჩომი ხმები და ამისდამიხედვით ხდება დარჩენილი ადგილების განაწილება.

ახალი კანონით, ეს ხმები ჩაეთვლება პარტიას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მთელს სახელმწიფოში შეკრებს ყველა მიცემული ხმების არა ნაკლებ ორი პროცენტისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხმები ჩაეთვლება სხვა პარტიას, რომელმაც ეს 2 პროც. შეკრიბა.

ამ [illegible] მიზანი ასეთია: ჩეხოსლოვაკიაში ამომრჩეველთა რიცხვი დაახლოებით 4 მილიონამდე აღწევს. უნგრელ, პოლონელ, გერმანელ და სხვა ეროვნულ უმცირესობათა შორის არსებობენ სხვადასხვა პარტიები. ალბათ ვერც ერთი მათგანი ვერ მიიღებს 200.000 ხმას (2 პროც.) და ოპოზიციონურ ეროვნულ უმცირესობათა ხმები ჩაეთვლებათ დიდ პარტიებს, ე. ი. მთავრობის კოალიციონურ პარტიებს. ასეთი მახინაციების საშუალებით, მთავრობის ბლოკს იმედი აქვს, რომ 300 მანდატიდან 160-ს მიიღებს.

ასეთი წესებია შემოღებული მეხოტრებთა ნებისყოფის გამოსახატავად „დემოკრატიულ" ჩეხო-სლოვაკიაში.

სხვა და სხვა ამბები

— **საბერძნეთი და იტალია.** მუსოლინიმ პანგალოსს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვამს სრულ კმაყოფილებას იმის გამო, რომ საბერძნეთმა შეუკვეთა იტალიას თოფები და ჰაეროპლანები. ამასთანავე გამოსთქვამს რწმენას, რომ ეს შეკვეთა ხელს შეუწყობს მეგობრულ განწყობილებას საბერძნეთსა და იტალიის შორის.

— **მცირე ანტანტა და უნგრეთი.** რუმინეთის მთავრობამ სამხრეთ-სლავიასა და ჩეხო-სლოვაკიას გადასცა ცნობები უნგრეთის საიდუმლო შეიარაღების შესახებ. მცირე ანტანტას სურს გამოიყენოს ეს საბუთები და მოსთხოვოს ერთა ლიგას მონაწილეობა მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მუშაობაში უნგრეთში.

— **[illegible] რადიჩის [illegible].** რადიჩის პარტიიდან გამოსულმა დეპუტატებმა გადასწყვიტეს განაგრძონ ხორვატიის გლეხთა პარტიის ძველი პოლიტიკა ივოტების ხელმძღვანელობით.

— **პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.** სამხრეთ-სლავიის პროფკავშირთა ორგანიზაციებმა შეადგინეს გაერთიანებული კომიტეტი პროფმოძრაობის მთლიანობის ჩამოსადგენად.

— **მაკედონელთა ბელადის მოკვლა.** მაკედონელთა ბელადი დასკალოვი მოკლეს ბატონოეიცაში (ბულგარეთი).

— **რადიჩი მოემზადება ერთა ლიგის სესიაზე.** სამხრეთ სლავიის მთავრობამ სტეფან რადიჩი დანიშნა დელეგაციის წევრად ერთა ლიგის შემოდგომის სესიაზე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

არრომარის გადაფრენა

მოსკოვი, 13 აგვისტო. 12 აგვისტოს მოსკოვიდან ვარშავაში გადაფრინდა ფრანგი მფრინავი არრომარი. ვარშავიდან არრომარი კოპენჰაგენში გადაფრინდება პარიზში.

არრომარის მთელი გადაფრენის მანძილი უდრის 7400 კილომეტრს. ამ ფრენის შესრულება იქნება მსოფლიო რეკორდი ფრენის მანძილის მიხედვით.

მუხრუჭების გამოცდა

მოსკოვი, 13 აგვ. სექტემბერში მოსკოვის ხაზზე და შემდეგ ა|კ. რკ. გზებზე მოხდება კაზანცევის მიერ გამოგონებულ სამუხრუჭე მუხრუჭების გამოცდა და აგრეთვე გერმანულ სისტემის (კუნცისა და კნორრისა).

ამ გამოცდას დიდ მნიშვნელობას აძლევენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე გერმანიაში. მოსალოდნელია, გამოცდაზე დაესწროს გერმანიის რკინის გზების წარმომადგენელი.

მიმართვა უცხოეთის [illegible]

მოსკოვი, 13 აგვისტო. საერთაშორისო იურიდიულმა ბიურომ მიმართა უცხოეთის ვექილებს თხოვნით იკისრონ გიანერის, კნიევსკის და რუტკოვსკის დაცვა ვარშავას საგანგებო სასამართლოში. მათ ბრალად ედებათ რამდენიმე პოლიციელის დახვრა შეტაკების დროს.

უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია

ლენინგრადში

საქარხნო სკოლებში

ლენინგრადი, 13 აგვისტო. 12 აგვისტოს უცხოელ მასწავლებელთა დელეგაციის ერთმა ნაწილმა ინახულა საქარხნო სკოლები. დელეგაცია გაეცნო სასკოლო საქმის დაყენებას. ზოგმა დელეგატებმა ჩვენი სკოლების გაცნობის შემდეგ აღიარეს, რომ დასავლეთ ევროპაში სასკოლო განათლება უფრო შორს დგას ცხოვრების მოთხოვნილებისაგან, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

დელეგაციის მარშრუტი

მოსკოვი, 18 აგვისტო. 15 აგვისტოს მოსკოვში მიემგზავრება გერმანელ, ფრანგ და ბელგიელ მასწავლებელთა დელეგაცია. დელეგაცია დაჰყოფს მოსკოვში 21 აგვისტომდე, რის შემდეგ განზრახულია გამგზავრება „იასნაია პოლიანაში" და ხარკოვში, ხარკოვში დელეგაცია გაიყოფა ორ ჯგუფად: ერთი წავა ყირიმში, მეორე კავკასიაში. ამასთანავე გერმანელ დელეგაციის ნაწილი კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ გაემგზავრება ტიხორეცკაიადან სტალინგრადში და იქიდან ვოლგაზე „პოვოლჟიეს" გერმანელების რესპუბლიკაში.

გადაფრენა ტოკიო—მოსკოვი

კრასნოიარსკი, 12 აგვისტო. 11 აგვისტოს იაპონიის ჰაეროპლანები გადაფრინდნენ კრასნოიარსკიდან ნოვო-ნიკოლაევსკში, მაგრამ ცუდი ამინდის გამო დაეშვენ აჩინსკში.

ნოვო-ნიკოლაევსკი, 12 აგვისტო. იაპონიის ჰაეროპლანები ორჯერ შეეცადნენ ნოვო-ნიკოლაევსკამდე მიეღწიათ. პირველად მოფრინდნენ მხოლოდ სოფ. ბოგოტოლამდე, მაგრამ შემდეგ ხელი შეუშალა ცუდმა ამინდმა. მეორეჯერ მიფრინდნენ მარიინსკამდე, მაგრამ ფრენის გაგრძელება ვეღარ შესძლეს ბინზინის შემოლევის გამო. ამჟამად ჰაეროპლანები იმყოფებიან აჩინსკში.

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის 200 წლის თავი

რერიხის მიწვევა დღესასწაულზე

მოსკოვი. 13 აგვისტო. სამეცნიერო აკადემიამ გაუგზავნა რერიხის წინაშე მოპატიჟების ბარათი დაესწროს საიუბილეო დღესასწაულს. აკადემიის პრეზიდენტმა კარპინსკიმ მისაპატიჟებელ ბილეთთან ერთად გაუგზავნა მხატვარს პირადი ბარათი, რომელშიაც სთხოვს თავის ძველ მეგობრს დაესწროს სამეცნიერო აკადემიის დღესასწაულს.

ამხ. კოტოვსკის დაკრძალვა

ცხედარის გადატანა

ოდესა. 13 აგვ. 11 აგვისტოს საღამოთი ოდესიდან ბირზულაში გავიდა სამგლოვიარო მატარებელი, რომელთაც წასვენებულ — იქნა ამხ. კოტოვსკის ცხედარი.

მატარებელს მიაცილებდნენ მთავრობისა და სამხ. რევ. საბჭოს წევრები და მრავალი დელეგაციები. სადგურის მახლობელი ქუჩები და მოედნები გაჭედილი იყო დიდძალი ხალხით.

უკანასკნელად განსვენებულის კუბოსთან საპატიო ყარაულად იდგნენ ამხ. ბუდიონი, ბუცენკო და ეგოროვი.



ამხ. კოტოვსკი

საოლქო აღმასკომის დარბაზიდან კუბო გამოასვენეს წითელარმიელებმა და დაასვენეს სამგლოვიარო ეტლზე. პროცესიის წინ პიონერებსა და წითელ-არმიელებს მიჰქონდათ 100-ზე მეტი გვირგვინი. კუბოს უკან მიჰყვებოდნენ მრავალი დელეგატები, სამხედრო ნაწილები, მრავალი მუშები, პიონერები და კომკავშირელები.

სადგურის წინ მოედანზე გაიმართა გამოსამშვიდობებელი მიტინგი, სადაც ილაპარაკეს ამხ. ბუცენკომ, ბუდიონიმ, ეგოროვმა და სხვებმა. ბესარაბიელთა საზოგადოების თავმჯდომარემ 300.000 ბესარაბიელის სახელით ფიცი დასდო, რომ უეჭველად შეასრულებენ ამხ. კოტოვსკის ოცნებას ბესარაბიის განთავისუფლების შესახებ.

უკანასკნელი პატივისცემა

ბირზულა. 12 აგვ. ბირზულაში ჩამოვიდნენ მუშების და წითელ-არმიელების მთელი ათეული დელეგაციები, აგრეთვე პიონერებისა და კომკავშირელების რაზმები დროშებითა და გვირგვინებით.

დილით სადგურს ნელ-ნელა მოადგა სამგლოვიარო მატარებელი [illegible] დამწუხრებულ მუსიკის ხმაზე [illegible] ვაგონი შემოსილია სამგლოვიარო ლენტებით და წარწერებით.

სიტყვებით გამოვიდნენ უკრაინისა და ყირიმის ჯარების უფროსის თანაშემწე ამხ. აქსენტიევი და მოლდავიის სააღმასკომის მდივანი.

კოტოვსკის კუბო დაასვენეს აღმასკომის წითელ კუთხეში და საპატიო ყარაულებათ დააყენეს მოლდავიის ცაკის წევრები.

დაკრძალვა

ბირზულა, 13 აგვ. დაასაფლავეს ამხ. კოტოვსკი.

კუბოს უკან მოჰყვებიან აუარებელი გლეხები, მუშები და წითელარმიელები.

2 საათზე ბუდიონის, ეგოროვის, დუბოვოის, კნიაგნიცკის, ბუშჩენკოს, სტარის, აქსენტიევსკის და კრივორუჩკოს აღმასკომის შენობიდან გამოაქვთ კუბო კოტოვსკის ცხედრით.

კუბოს მიჰყვებიან მეთაურები, წითელარმიელები, მუშები, მოლდავიის ცაკის წევრები და მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები.

სასაფლაოზე სიტყვებით გამოდიან სტარი, ბუდიონი, ეგოროვი, ბუცენკო და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

4 საათზე რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს, საკავშირო, უკრაინის და მოლდავიის ცაკების წევრებმა კუბო ჩაუშვეს საფლავში.

უკანასკნელი სიტყვით გამოვიდა კოტოვსკის სახელობის დივიზიის უფროსი კრივორუჩკო.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

შეღავათები სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს

ბათუმი, 12 აგვისტო. კომუნალურ მეურნეობის გამგეობამ დაუკლო საიჯარო გადასახადი სავაჭრო-სამრეწველოების შენობებს, პირველ რაიონს 40 პროცენტი, სხვა რაიონებს კი 10—25 პროცენტამდე.

ხილეულობის გაგზავნა

ბათუმი, 12 აგვისტო. „აჭარპრომტორგმა" გადასწყვიტა ხილეულობის გასასაღებლად გახსნას ლენინგრადში სპეციალური ხილეულობის და მწვანილეულობის სავაჭრო.

ქოხ-სამკითხველო

ბათუმი, 12 აგვისტო. [illegible] კავშირმა ქობულეთის მაზრაში სოფელ მუხა-ესტატეში გახსნა ქოხ-სამკითხველო.

ეკონომიური ცხოვრება

„მერკურბანკი"

თბილისში დაარსდა სავაჭრო-სამრეწველო საურთიერთო ნდობის ბანკი „მერკურბანკი". [illegible] არჩეულია ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი—28 კაცისაგან. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. ტ. თაბლდგირიძე, მოადგილედ ვ. შ. ჯაფარიძე და ხაზინადრად ს. გ. მაზმანოვი.

კომიტეტი უკვე შეუდგა საწევრო ფულების შეკრებას ქალაქის ფარგლებში. ქალაქის ვაჭარ-მრეწველთა წრეები დიდის თანაგრძნობით ხვდებიან ამ ბანკის დაარსებას და მრავალ უწერებიან მასში წევრებად. ბანკის მოქმედების დაწყება განზრახულია ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

12 აგვისტოს სხდომაზე კომიტეტმა არჩია კომისია, რომელსაც დაევალა ბანკისთვის შესაფერი ბინის ამორჩენა.

წითელ ჯარში

მეორე ქართულ მსროლელ ტერიტ. დივიზიაში

დივიზიის ნაწილებში ჩარიცხული ცვალებადი პოლიტ-შემადგენლობის პირნი უნდა გამოცხადდნენ მიწერილ ნაწილებში ა. წ. 17 აგვისტოს, დილის 9 საათზე.

ტერიტორიალურ შეკრების განმავლობაში პოლიტ-შემადგენლობის პირთ, თანახმად ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა წითელ არმიის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათების და უპირატესობათა კანონების კოდექსის 94 და 95 მუხლების, თანახმად რომლისაც დამტკიცებულის ს. ს. ს. რ. კ. ცაკის მიერ [illegible] წ. 29 ოქტომბერს, ენახებათ სამსახურის ადგილი ორგანიზაციებში და 2|3 ჯამაგირისა საშუალო ხელფასის მიხედვით, მუდმივ სამსახურში დაკავებულ თანამდებობის შესაფერისად.

მეორე ქართულ ტერ. დივიზიის საარტილერიო ლეგიონში ჩარიცხული ცვალებადი შემადგენლობა უნდა გამოცხადდეს საერთო შეკრებაზე აღნიშნულ ნაწილში (ქ. თბილისში, საბურთალო) ქვემოთ მოყვანილ ვადებში:

ა) ცვალებადი უფპოლიტშემადგენლობა—15 აგვისტოს, ხოლო ადმ.-მეურ. შემადგენლობა — 22 აგვისტოს.

ბ) კომპარტიის წევრი და კანდიდატი წითელარმიელები — პირველ სექტემბერს.

გ) 1901 წ. დაბადებული ცვალ. შემადგ. წითელარმიელები — ხუთ სექტემბერს.

ზემოაღნიშნულ ცვალებად შემადგენლობას ევალება წინა დღით გამოცხადდეს ადგილობრივ სამაზრო სამხედრო კომისარიატში რკინისგზაზე სამგზავრო ბილეთების მისაღებად.

ვინც დანიშნულ ვადაში არ გამოცხადდება, გადაეცემა სამხედრო ტრიბუნალს.

ლეგიონში ჩარიცხულ უფროს მეთაურთა გამოცხადების ვადა.

მე-2 ქართულ ტერიტორიალური საარტილერიო ლეგიონი აცხადებს ლეგიონის ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხულ ქვემოდ ჩამოთვლილ უმცროს მეთაურთა საყურადღებოდ, რომ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ საერთო შეკრებაზე ა. | წ. 15 აგვისტოს საარტილერიო ლეგიონში ქ. თბილისში.

1) ღოღუბელაშვილი ალექსანდრე, 2) მალალაშვილი მიხეილ, 3) გომდიანცი არამი, 4) ხარატიანცი ალექსანდრე, 5) გაგნიძე სერგო, 6) კონონოვი ალექსანდრე, 7) ბასისტოვი ნიკოლოზი, 8) გუდიაშვილი პეტრე, 9) ჯეირანაშვილი ალექსანდრე.

ვინც ზემოაღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდება, მიეცემიან პასუხისგებაში თანახმად სისხლის სამართლის კოდექსისა.

საარტ. ლეგიონში ჩარიცხულთა საყურადღებოდ.

მეორე ქართული ტერიტორიალური საარტილერიო ლეგიონი აცხადებს ლეგიონის ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხულ ქვემოთ ჩამოთვლილ სამხედრო პოლიტ-მომუშავეთა საყურადღებოდ, რომ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ საერთო შეკრებაზე ა. | წ. 15 აგვისტოს ლეგიონში ქ. თბილისში.

1) თოხაძე სვიმონი ესტატეს ძე, 2) სოხაძე ამბაკო ალექსის ძე, 3) მანავაძე ფილიპე ბართლომეს ძე, 4) ცაგარეიშვილი შალვა ვლადიმერის ძე, 5) სანაკოევი ვასილი ექვთიმეს ძე, 6) ხუციევი მარტინი, 7) კუტუბიძე ზინო, 8) კურასპელიანი ირაკლი, 9) ჩუნგიაძე მირიანე მესარიონის ძე, 10) მაჩიტაძე მიხეილი რაჟდენის ძე, 11) კულუმბეგაშვილი გრიგოლი, 12) ანდღულაძე მიხეილ.

აღნიშნული მოქალაქენი წინა დღით გამოცხადდებიან ადგილობრივ მაზრის სამხედრო კომისარიატებში, სადაც მიიღებენ თბილისამდე რკინის გზით სამგზავრო საბუთებს.

„ქართული მარგანეცი"

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ნიუ-იორკიდან ვ. ა. ჰარიმანისაგან მიიღო დეპეშა. ჰარიმანი იტყობინება, რომ ს. ს. ს. რ. მთავრობისა და ფირმა „ჰარიმან და ამხანაგობას" შორის დადებული საკონცესიო ხელშეკრულების 66 მუხლის თანახმად ხსენებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლება და ვალდებულება გადაეცა ახლად დაარსებულ სააქციო საზოგადოებას „ქართული მარგანეცი" (Georgian Manganese Company, limited) ამერიკიდან კონცესიონერის წარმომადგენს ხსენებული საზოგადოება, და [illegible] ს. ს. [illegible] მარგ[illegible], რომელსაც დავალებული აქვს სააქციო კომპანიის წარმომადგენლობა საკავშირო მთავრობის წინაშე, ყველა საკითხისა და ოპერაციის გამო, რაც დაკავშირებულია საკონცესიო ხელშეკრულების შესრულებასთან.

ქრონიკა

— **მუშათა სახლების აგება.** თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მუშათა სახლების აგების საქმე გადასცეს „საამშენ—ს საზ-ბას".

— **[illegible] თბილისში.** გამოკვლევის საკითხი ამხ. [illegible] აღმასკომმა დაადგინა გადაეცეს სახ. კომისართა საბჭოს.

— **სასროლ „ტირების" მოწყობის უფლება.** თბ. აღმასკომმა დაადგინა კომისართა საბჭოს დასტურის შემდეგ მოაწყოს მხოლოდ ფიზკულტურას.

— **სახალხო მოსამართლე სოფ. [illegible].** თბ. აღმასკომმა დაადგინა სოფ. თიანეთში შემოიღოს სახალხო მოსამართლის თანამდებობა [illegible].

— **თბ. სასოფლო-სამეურნეო სკოლაში** მომავალ სასწავლო წლიდან გაუქმებული იქნება მოსამზადებელი კლასი.

— **საკონტორო-სავაჭრო სკოლა.** განათლების კომისარიატმა დაადგინა მომავალ სასწავლო წლიდან თბილისში გახსნას საკონტროლო-სავაჭრო სკოლა, რომლის მიზანი იქნება მხოლოდ დაბალი კვალიფიკაციის კომერციული მუშაკების მომზადება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებისათვის.

— **[illegible] ბრძოლის** საწარმოებლად მიწად-მოქ. სახ. კომისარიატს განზრახული აქვს მომავალ წელში დახარჯოს 48,280 მანეთი.

— **ტყავის დამზადება.** [illegible] ცეკავშირმა დაამზადა 150 ცალი ტყავი.

— **თამბაქოს [illegible].** [illegible] ამჟამად დღეში [illegible] ღებულობს 1 მ. 20 კ.

— **წითელი კუთხეები.** საქ. პროფორგანიზაციების მიერ მოწყობილ წითელ კუთხეთა რიცხვი ამ ჟამად აღწევს 104-მდე.

— **[illegible].** [illegible] თბილისის [illegible] 3,000 მან.

— **[illegible]** კარგვის გამო თბილისის დაზღვევამ სალარომ დაზღვეულებს აუნაზღაურა 108,157 მან.

— **უმუშევართა დაზღვევა.** გასულ თვეში უმუშევართა დაზღვევის განყოფილებამ დაზღვევისაგან მოხსნა 130 უმუშევარი, მათ შორის 66 ქალია.

— **[illegible]** გამოცდილმა მასწავლებელმა ვ. ბურჯანაძემ, [illegible] შეადგინა [illegible] სკოლებისათვის უფროს ჯგუფებში სახელმძღვანელო ქართული ქრესტომათია.

— **ნაოსნობა.** რიონსა და მდ. [illegible] ნაოსნობის მოსაწყობად [illegible] შეადგინა [illegible].

— **„მოხარულთა სახლი"** უმუშევარ მოხარულთა სახლში უკვე გაიხსნა სამი სახელოსნო: სადურგლო, კალათების საწნავი და ფეხსაცმელების სახელოსნო.

— **სამოგზაო სამუშაოების** მოსაწყობად ხაშურსა და გორში, შრომის სახ. კომისარიატმა მიავლინა ამხ. კილოსანიძე.

— **გრეხილი ავეჯეულობისათვის.** საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი შეუდგა გომბორის რაიონში ნედლი მასალის დამზადებას თბ. გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის საჭიროებისათვის.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომრის ცირკულიარში „ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ" [illegible]

[illegible]

— **საზაფხულო კლუბი „[illegible]".** დღეს გაიმართება [illegible]

— **[illegible].** [illegible] გლეხებს უფასოდ აძლევენ [illegible].

შემთხვევანი

— **პატიმრის გაქცევა.** 11 აგვისტოს ღამით მე-3 სამილიციო რაიონის სამართველოს საპატიმროდან გაიქცა [illegible]

— **[illegible].** 12 [illegible]

— **ქურდობა.** 10 აგვისტოს [illegible] თბილისში მოქ. სოლომონ [illegible] მოპარეს 400 მანეთი [illegible]

ფიზიკური კულტურა

ა.-კ. ფეხბურთელების [illegible] გერმანიაში

ოთხშაბათს, 13 აგვ. ღამის 12 საათზე ჩქარი მატარებლით თბილისიდან გერმანიაში გაემგზავრა ამიერ-კავკასიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

გუნდში შედიან: [illegible] (ბათუმი), ფრუიძე (თბილისი), [illegible] (ბათუმი), ანიკინი (ბათუმი), [illegible] (თბილისი), [illegible] (ბაქო), [illegible] (ბაქო), [illegible] (თბილისი), [illegible] (ბათუმი), [illegible] (თბილისი), [illegible] (ბათუმი), [illegible] ბიანი.

გუნდს თან ახლავს [illegible] საბჭოს წარმომადგენლები [illegible] (საქართველო), [illegible] (აზერბეიჯანი) და [illegible] (ამიერ-კავკასია).

პირველ მატჩს [illegible] ფეხბურთელები თამაშობენ 22 აგვისტოს დრეზდენში, მეორე მატჩს— 26 აგვისტოს [illegible]

[illegible]

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ახალი შემადგენლობა.

თანახმად საქ. [illegible] დადგენილებისა დამტკიცებულია საქართველოს ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. [illegible] (საქ. [illegible] თავმჯდომარე) — თავმჯდომარე 2. ქავთარაძე გიორგი (რკინის გზის საგანგ. კომისიის თავმჯდომარე) 3. გვანცელაძე ნ. (საქ. [illegible] 3-ე დივიზია); 4. [illegible] 5. [illegible]ზელიძე ილიკო (პროფსაბჭოს კულტგანყოფ. გამგე), 6. [illegible] (თბ. ფ. კ. ს. თავმჯდომარე) 7. [illegible] (აჭარისტანის [illegible] თავმჯდომარე) 8. [illegible] (სამხრეთ-ოსეთ[illegible] ქ. საბჭოს თავმჯდომარე) 9. [illegible] (საქართველოს [illegible] კომიტეტის თავმჯდომარე) 10. [illegible] (შინაგან საქმეთა სახ. კომისარი), 11. [illegible] (განათლების სახ. კომისარი), 12. [illegible] (ჯანმრთელობის სახალხო კომისარი), 13. [illegible] (წითელ არმიის წარმომადგენელი), 14. [illegible] (წარმომადგენელი), 15. [illegible] (წარმომადგენელი), 16. [illegible] (კომიტ. აგიტპროპ. გამგე), 17. [illegible] (სშეს.), 18. [illegible] (სშეს.) და 19. [illegible] (სშეს.).

საქ. ფ. კ. უ. ს. პლენუმი

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს პირველი პლენუმი შესდგება 20 აგვისტოს.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: მოხსენება ფ. კ. უ. ს. მუშაობის შესახებ, 2) პრეზიდიუმის არჩევა, 3) მომავალი მუშაობის გეგმა, 4) სხვადასხვა.

პარტიული ცხოვრება

პარტიულ ხელმძღვანელობის შესახებ

დღეს პარტიული ხელმძღვანელობის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საწარმოო ძალების, სასოფლო მეურნეობის და გლეხური აქტივობის ზრდა-განვითარება უკარნახებს პარტიას, პროლეტარული ხელმძღვანელობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

ამიტომ იყო სწორედ, რომ მე-14 პარტიულ კონფერენციამ ასე ფართოდ განიხილა პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი და თავის რეზოლუციაში აღნიშნა შემდეგი: „როგორც პროლეტარიატის ავანგარდი, კომუნისტური პარტია ყოველთვის სათავეში უნდა იდგას მუშათა და გლეხთა მასებს; მან უნდა იკისროს ინიციატივა და ძირითადი ორგანიზატორული როლი მთელს პრაქტიკულ, რევოლიუციონურ-პროლეტარულ აღმშენებლობაში, რომელშიაც ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული მუშათა და გლეხთა მასები."

ინიციატივა და ძირითადი ორგანიზატორული როლი — აი საითკენ მოუწოდებს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს პარტ-კონფერენციის რეზოლუცია.

მაგრამ როგორია ამ მხრივ სოფლად მდგომარეობა? აქ ხელმძღვანელობის საქმე არ არის მაინც და მაინც სასურველ დონეზე დაყენებული.

უნდა ითქვას, რომ ალაგ-ალაგ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობას განაგრძობენ ძველებური მახინჯი ფორმებით. ისინი ისეთ ფინქციებსაც ასრულებენ, რომლებიც მათს მოვალეობაში სრულიად არ შედის. პარტიული ხელმძღვანელობა იმას კი არ ნიშნავს, რომ პარტუჯრედმა თვის საბჭოს ან აღმასკომის ფუნქციები მიითვისოს. არც იმას ნიშნავს როგორც ზოგან ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ვარდებიან მეორე უკიდურესობაში და პარტხელმძღვანელობას მეტად ვიწრო კალაპოტით საზღვრავენ, რის შედეგიც არის პარტუჯრედების კარჩაკეტილობა.

ცხადია ეს პარტიული ხელმძღვანელობის დედა-აზრის არა სწორად შეთვისების შედეგია.

როგორც ფუნქციების გადაჭარბებას, ისე კარჩაკეტილობასაც აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს.

სწორი პარტიული ხელმძღვანელობა მოითხოვს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მოქნილობას. ორგანიზაცია უკან არ უნდა რჩებოდეს მასებს, ის ინიციატორი უნდა იყოს მთელს პრაქტიკულ-აღმშენებლობით მუშაობაში.

მაგრამ ექნება თუ არა გასავალი პარტუჯრედის ინიციატივას და როგორ ნაყოფს გამოიღებს იგი? ეს მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ამოცანებს აყენებს პარტუჯრედი ცხოვრებაში განსახორციელებლად.

თუ ეს საკითხები პრაქტიკული მნიშვნელობისაა და ეხება ადგილობრივი მცხოვრებლების ჭირ-ვარამს, მაშინ ორგანიზაციაც მოიპოვებს ავტორიტეტს მასაში, ეს უკანასკნელი უფრო დაუახლოვდება პარტიას, და ასეთ შეთანხმებულ მუშაობას საგრძნობი შედეგებიც მოჰყვება.

აი ამაში მდგომარეობს ინიციატივა და ძირითადი ორგანიზატორული როლი პარტორგანიზაციისა.

ქ. წ—ძე.

კომკავშირლები მასიურად უნდა ჩაებან საბჭოთა მუშაობაში

დღეს, როგორც ვიცით, პარტიის პირველხარისხოვანი ამოცანა სოფლად იმაში მდგომარეობს, რომ გამოცხოველებული და გაძლიერებული იქნას ადგილობრივი საბჭოების მუშაობა. კომკავშირმა კი, როგორც ერთ-ერთი უძლიერესმა არმიამ და პარტიის თანაშემწემ, ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინოს მას ამ საქმეში.

მაგრამ თუ დღემდე კომკავშირი ამ მიმართულებით ვერ იჩენდა სათანადო აქტივობას, მისი მონაწილეობა ამ მუშაობაში არ იყო საკმაო და დამაკმაყოფილებელი—ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. სხვათა შორის უმთავრესი იყო ის, რომ სოფლად კომკავშირელთა საგრძნობ ნაწილს არ ჰქონდა გარკვეული საბჭოების [illegible], ისინი კარგად არ იცნობდნენ საბჭოთა კანონმდებლობას და სხვ.

რასაკვირველია, არც ეხლა შეიძლება იმის თქმა, რომ კომკავშირული მასსა ამ საკითხებში ძლიერ კარგად, საფუძვლიანად ერკვევა. ეს თავის მოტყუილება იქნებოდა, რაც ჩვენ სრულიადაც არ გვწევია.

მაგრამ ფაქტია, რომ გასულ წლებთან შედარებით დღეს ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა. თვით ის გარემოება, რომ უკანასკნელად ჩატარებულ საბჭოთა არჩევნებში კომკავშირელები სათანადო ენერგიულობას იჩენდნენ, შეგნებულად შეხვდნენ ამ არჩევნებს, თვით საბჭოებში გაყვანილ იქნა კომკავშირელების საკმაო რაოდენობა არა როგორც კომკავშირის წარმომადგენლები, არამედ როგორც უშუალოდ არჩეული ელემენტის ფართო მასიდან — ამისი საუკეთესო დამამტკიცებელია.

ასე რომ დღეს უდავოდ მიჩნეული უნდა იქნას ის, რომ კომკავშირი ჩაება საბჭოთა მუშაობაში.

მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავება. კომკავშირი მასიურად უნდა ჩაებას საბჭოთა მუშაობაში, საბჭოთა აღმშენებლობაში.

ხოლო იმისათვის, რომ ეს ამოცანა სასურველად გადავჭრათ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ის კომკავშირელები, რომლებიც საბჭოების წევრები არიან, თავიანთი დაუღალავი და [illegible] მუშაობით მაგალითის მაჩვენებელნი გახდნენ კომკავშირელების და საერთოდ სოფლის გლეხური ახალგაზრდობის ფართო მასებისათვის.

გარდა ამისა კომკავშირელებმა უნდა შეისწავლონ თავიანთი სოფლების პირობები, კარგად უნდა გაეცნონ ადგილობრივი მდგომარეობის დამახასიათებელ მომენტებს და ამის დამიხედვით დასახონ ახალი ღონისძიებანი გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.

კომკავშირელებმა სოფლის გლეხკაცობას უნდა აუხსნან და განუმარტონ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობა, კოოპერაციაში და სხვა საბჭოთა, საზოგადოებრივ, კულტურულ ორგანიზაციებში გაერთიანების და ჩაბმის მნიშვნელობა.

თვით სოფლის კომკავშირულ უჯრედებში ხშირად უნდა იდგეს საბჭოთა მუშაობის საკითხები [illegible].

ამასთანავე ერთად აუცილებლად საჭიროა, რომ კავშირის უჯრედების სხდომებზე რეგულიარულად იყოს მოხსენებები საბჭოების მუშაობის შესახებ იმ კომკავშირელების მიერ, რომლებიც მუშაობენ საბჭოებში.

ერთი სიტყვით [illegible] ღონისძიებებს უნდა მიემართოს იმისთვის, რომ მასიურად ჩაება [illegible] კომკავშირული მასა საბჭოთა მუშაობაში.

მაგრამ ამავე დროს თვითეულ კომკავშირელს მუდამ უნდა ახსოვდეს ისიც, რომ სამხედრო კომუნიზმის ნაშთებს, გლეხობისადმი ბრძანებლობას, ადმინისტრატიულ გადამეტებას და სხვ., რომლებსაც ადგილი ჰქონდა [illegible] აუცილებლად—საჭიროა [illegible]

წერილები ადგილებიდან

პარტმუშაობა გორის მაზრაში

გორის მაზრის პარტიული ორგანიზაცია თავის შემადგენლობაში ითვლის 966 წევრს და 267 კანდიდატს. [illegible]

[illegible]

დ. ვაჩეიშვილი.

გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის კომუჯრედი

გასულ კვირას შესდგა ზემოხსენებულ კომუჯრედის მორიგი ღია კრება, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე უპარტიო ამხანაგებიც. სხდომაზე მოსმენილი იქნა მუშა-დელეგატების მოკლე საანგარიშო მოხსენებანი იმაზე, თუ როგორ ჩატარდა ქალაქის მე-4 რაიონის კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში იდგა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. საერთაშორისო მდგომარეობის და საბჭოთა საქართველოს ეკონომიური აღორძინების შესახებ. მოხსენებების დამთავრების შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც ის ესალმება იმ ღონისძიებებს, რომელთა მეოხებით შესაძლებელი გახდება საქართველოს სოციალისტური განვითარება.

დასასრულ კრებამ მიიღო მეორე დადგენილება, რომელიც ეხება კოოპერაციაში [illegible] მართალია ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია საკმაოდ [illegible] კოოპერაციის აქტივში უკვე [illegible] მაგრამ საჭიროა ამ საქმის [illegible], რომ ჩვენი სტამბის ყველა მუშა-მოსამსახურენი გაერთიანდნენ და ჩაებან კოოპერაციაში.

პარტკორი ყ—ნი.

მუშათა ცხოვრება

მოგვეცით წყალი
(აღმასკომის საყურადღებოდ)

ელისაბედის ქ. № 17 სახლში ონკანი დაკეტილია; წყალი არ მოდის და ასეთ აუტანელ სიცხეში წყურვილით ვიხოცებით მუშა-მოსამსახურეები. ონკანი დაკეტილია ზოგიერთი დაუდევარი მდგმურების მიერ წყლის ფულის შეუტანლობის გამო. საჭიროა აღმასკომმა მათ წინააღმდეგ მიმართოს რაიმე სხვა ზომებს და უდანაშაულო ხალხი არ დაგვხოცონ წყურვილით ასეთ სიცხე-პაპანაქებაში.

ინფ. ბ—ძე.

ხეთის „ეპო"-ში
(ზუგდიდის პროფბიუროს საყურადღებოდ)

ხეთის „ეპო"-ში მსახურობენ ორი ნოქარი, ერთი მოლარე და ერთიც მეფურნე. ყველა ზემოაღნიშნული პირები კეთილ-სინდისიერად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. ამ ამხანაგებს უხდებათ დილიდან საღამომდის მუშაობა, მათთვის არ არის დასვენება. ყოველთვის ღია არის ხეთის „ეპო"-ს დუქანი და არ აქვთ ნოქრებს საშვალება დაისვენონ.

საჭიროა ამას მიაქციოს მაზრის პროფკავშირმა ყურადღება და როგორც სხვაგან არის, ხეთის „ეპო"-ც დაკეტილი იქნეს კვირაში ერთი დღით მაინც.

ნუ მიეცემა „ეპო"-ს ადმინისტრაციას უფლება, რომ ასე ზედმეტად ამუშაოს უსასყიდლოდ მომუშავენი.

ინფ. ივ—ლი.

ჩვენც მოგვხედეთ
(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ)

არ დარჩენილა თბილისში არც ერთი მივარდნილი კუთხე, სადაც წვიმის შემდეგ სოკოებისავით კლუბი და თეატრები არ გამრავლებულიყო. არ არის არც ერთი განაპირა უბანი, სადაც სახალხო წარმოდგენები არ იმართებოდეს. მაგრამ ჩვენ ავლაბრის მცხოვრები მუშები მოკლებული ვართ ამ ბედნიერებას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უწინ—ზამთარ-ზაფხულ სახალხო წარმოდგენები ყოველთვის გვქონია. ჩვენ ოჯახითურთ მიგვიღია აქ სულიერი და გონებრივი საზრდო, რის გამო არა ერთხელ აგვცდენივართ სამიკიტნოებს. დღეს კი არც ერთი წარმოდგენა არც ერთ ენაზე აქ არ იმართება, რადგანაც ერთად-ერთი თეატრი გვქონდა და ესეც დღემდის დაკეტილია იმ მოსაზრებით, რომ იმის დაქცევა უნდოდათ და ახალი უნდა აეშენებინათ; მაგრამ ვიდრე ახალს ააშენებდენ, საჭირო იყო, რომ ის მცირედ მაინც შეეკეთებინათ; რაც შეეხება ახალს, ამისათვის ცარიელი და მოხერხებული ადგილები საკმაოდ მოიპოვება ავლაბარში.

მუშკორი ალ. ზოლი.

ჩვენ რად დაგვივიწყდით
(განათლების სახკომატის საყურადღებოდ)

ჩვენ ვმსახურობთ ტფილისის ქალთა პროფ-სკოლაში ხელსაქმის მასწავლებლად. ა|წ. 1 მარტამდი ჩვენი სკოლის მასწავლებლები კმაყოფას ვღებულობდით, როგორც შვიდ-წლედის მასწავლებლები, ვინაიდან ჩვენი სკოლა დროზე არ იქნა გადარიცხული პროფ-განათლების ხარჯზე.

ა|წ. 1-ლ მარტიდან მოხდა მხოლოდ შვიდწლედ-ცხრაწლედების მასწავლებელთა ტარიფიკაციის შეცვლა და თუ მარტამდი იქაურ მასწავლებელს კვირაში 24 საათის მუშაობაში ეძლეოდა განსაზღვრული განაკვეთი, მარტიდან კი მიეცა მას იგივე განაკვეთი კვირაში 18 საათის მუშაობისთვის. ეს ცვლილება გავრცელდა ჩვენი სკოლის ყველა მასწავლებელზე დროებით, სანამ ჩვენი სკოლა პროფგანათლების ხარჯზე გადავიდოდა, გარდა ხელსაქმის მასწავლებლების, რომელნიც დღესაც კვირაში 24 საათის მუშაობაში ვღებულობთ განაკვეთს. მივმართეთ განცხადებით ადგილობრივ განათლების კავშირს და განათლების ინსპექციას, მაგრამ, უკვე სამ თვეზე მეტია და პასუხს არავინ გვაძლევს, თუ რა მიზეზია, რომ ეს ცვლილება ჩვენზე არ გავრცელდა, განცხადება ამის შესახებ ცენტრშიც გადავაგზავნეთ.

ტფილისის პროფ-სკოლის ხელსაქმის მასწავლებელი.

როგორ ვისვენებდით წალვერში

ოთხასს კაცამდის ვიყავით მისულნი დასასვენებლათ წალვერის დასასვენებელ სახლებში სხვადასხვა კავშირებიდან. აღარას ვიტყვი ჭამასმაზე, რადგან უკეთესი არ იქნება. გასართობებიც ბევრი გვქონდა: არ იყო არც ერთი საღამო, რომ აქაურ პატარა სცენაზე გასართობი არ გვქონოდა—კინო, სამხედრო მუსიკა და სხ. მოქ. ამირაჯიბი და დიკი გვატკბობდნენ მუშებს. ადგილობრივი დრამატიული წრე სდგამდა კვირაში ორჯერ წარმოდგენებს. ერთს საღამოს გვეწვიენ თბილისიდან ლენინის რაიონის ახალგაზრდა კომკავშირელები და დასდგეს მხიარული კომედია რუსულ ენაზე „სოკროვიშჩე". წარმოდგენის შემდეგ იმღერეს რუსულ და ქართულ ენებზე.

26 ივლისს ადგილობრივმა დრამატიულმა წრემ დასდგა კომედია: „მათიკოს" მესამე მოქმედება და დამსვენებელ ახალგაზრდა მუშებმა კი დასდგეს კომედია „ზიპო". წარმოდგენის შემდეგ გაიმართა სალიტერატურო საღამო. ამ საღამოსათვის საგანგებოდ იყვნენ მოწვეულნი თბილისიდან მუშა-მწერლები: გიგო ხეჩუაშვილი და გიორგი შინატებელი.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს ი. ხიბრილაშვილმა, გ. ჯაბაურმა, გ' შინატებელმა, გიგო ხეჩუაშვილმა და სხვებმა.

ამ საღამოს გამართვაში ხელი შეგვიწყო ადგილობრივმა დასასვენებელი სახლების გამგეობამ, რისთვისაც მუშები დიდ მადლობას მიუძღვნით.

მუშკორი თავლი.

გამოგზავნილი წერილებიდან

ვერის მუშათა კლუბში
(პროფსაბჭოს კულტგანის საყურადღებოდ)

აღნიშნულ კლუბში წინეთ თითქმის სისტემატიურად იმართებოდა წარმოდგენები და ლექციები, რასაც ბლომად ესწრებოდენ ვერის რაიონის მუშები და ისვენებდენ იქ სულიერად და ფიზიკურადაც. ამ უკანასკნელ ხანებში ყველა ესენი შეწყდა.

რაშია საქმე?

მუშა გორელი.

წელიწადი გავიდა და ხელფასს კი არ მაძლევენ
(ოზურგეთის აღმასკომის და პროფბიუროს საყურადღებოდ)

1924 წ. 15 მაისს ნიგოითის ხელისუფლებამ ამიყვანა დარაჯად და დამაკისრა მუშაობა ადგილობრივ ფ.-ტელეგრაფის განყოფილებაში და აღმასკომში. ვიმსახურე 4 თვე ნახევარი. შემდეგ პარტ-ორგანიზაციამ გადმომგზავნა ქარ. სამხედრო სკოლაში, სადაც ვითვლები კურსანტად. კუთვნილი ხელფასი დღემდის ვერ მიმიღია.

ნუ დამიკარგავთ ნაშრომს!

მე-2-რე ასეულის კურსანტი ჯაფარიძე.

რკ. გზ. დამზღვევი სალარო არ გვიწევს დახმარებას

რკინის გზ. დამზღ. სალარო არ უწევს მტვირთველ მუშების ოჯახების წევრებს დახმარებას იმ მხრივ, რომ მათ სოფელში მყოფობის დროს ადგილობრივად მიეცეთ უფასო საექიმო დახმარება, რაც ძლიან ცუდ პირობებში აყენებს მათ.

ეს საქმე ჩვენთვისაც უნდა მოაგვაროთ.

მტვირთველი მუშა.

ზღვა კოვზითაც დაილევა

რკ. გზის მტვირთველ მუშებს ურთიერთ დამხმარე სალაროდან სისტემატიურად და გამუდმებით მიაქვთ ფული „სესხად". უკან კი სესხს არავინ აბრუნებს. ეს ფულიც დაილევა და დახმარებაც მოისპობა ყველასათვის.

გახსოვდეთ, მტვირთველებო, „ანდაზა—„ზღვა კოვზითაც დაილევა"-ო და გებრალებოდეთ თქვენი მოჭირნახული, თქვენი საურთიერთო დამხმარე კასა.

მუშა გულშემატკივარი.

პასუხად მუშკორ მათხოჯელს
(იხ. „კომუნისტი"-ს № 164)

გაზეთ „კომუნისტი"-ს მე-164 ნომერში სათაურით: „რკინის ცოცხი ასეთ ფინინსპექტორს", გაცნობებთ, რომ როგორც კვლევა-ძიებიდან გამოირკვა წერილის შინაარსი სიმართლეს მოკლებულია.

აღმასკომის საინფორმ. მაგ. გამგე ვარდოსანიძე.

რკინისგზელებში

— **საექიმო დახმარება რკინის გზაზე** ა|ქ. რკინის გზის ჯანმრთელობის სამმართველო რკინის გზის დამზღვევ სალაროს კომიტეტის სხდომაზე გააკეთებს მოხსენებას საექიმო დახმარების საქმის გარშემო ა|ქ. რკინის გზაზე.

— **სალაროების დათვალიერება** ხაშურის, სამტრედიის და ბათომის საუბნო სალაროების დასათვალიერებლათ ა|ქ. რკინისგზის დამზღვევ სალარომ მიავლინა ამხ. კორიტნი.

— **აზერბეიჯანის ხაზზე** ა|ქ. რკინის გზის დამზღვევ სალარომ აზერბეიჯანის ხაზზე არსებულ დასასვენებელ სახლების დასათვალიერებლად მიავლინა ამხ. ზ. ხარდიშვილი.

— **დასასვენებელი სახლის დასათვალიერებლად.** გაერთიანებულ დასასვენებელ სახლის შენების ადგილის გამოსარჩევათ შეიქნა კომისია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, რკინის გზის საგზაო კომიტეტის, რკ. გზ. დამზღვევ სალაროს და ჯანმრთელობის სამმართველოს წარმომადგენლებისაგან.

წერილები პროვინციიდან

არა ხალხისთვის—თავის სახლისთვის

ქვემო ქიზიყში მიმდინარეობს რევიზია, რომელმაც გამოარკვია დღემდე მიჩქმალული და მიმალული საქმეები. შემჩნეულია აუარებელი ქონება, დაფანტულია ჩამორთმეული ნივთები და ერთი სიტყვით გამოაშკარავებულია სრული უყურადღებობა სამსახურისადმი.

ბოროტ-მოქმედებმა თავი იჩინა უფრო ქვ. მაჩხაანში. ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე ილო ჩერქეზიშვილი იმდენად საზოგადო და სახალხო საქმისთვის არა ცდილა, რამდენადაც საკუთარ სახლისათვის. ის ამ სოფელში მეოთხე წელიწადია, რაც აღმასკომის თავმჯდომარეთ იყო, და ამ ხნის განმავლობაში საქმე ისე ოსტატურად ექირა, რომ დღემდეს ვერავინ გამოარკვია რასაც სჩადიოდა.

თავის სოფელ ნუკრიანში ააშენა ორ სართულიანი სახლი, იყიდა ორმოც თუმნიანი ცხენი, შეიძინა აუარებელი სიმდიდრე: ცხვარი, ძროხა და ორმოცდა ათამდე ღორი. მის სახლში აღმოჩენილ იქნა ორმო, რაშიაც ნახეს: ხორბალი; ჩამორთმეული ქონება: ავეჯი რბილი მებელი ოქროს საათები, ხალიჩები, აუარებელი სპილენძეულობა და სხვა. მაგრამ ვინ მოსთვლის რამდენი რამ ჩაუდენია. ქრთამების აღება ხომ თურმე მის სპეციალურ ხელობას შეადგენდა...

ეს სამი წელი იქნება, რაც ადგილობრივი გლეხობა სახალხო სახლს აშენებს და ვერ იქნა დასასრული ვერ მისცეს და ეს მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ წლივ იკრიფებოდა სხვადასხვა საქონელი: ცხვარი, ძროხა და ფული. ან კი რა ააშენებდა, როცა თურმე კომისია თავის აშენებას უფრო ცდილა, ვიდრე სახალხო სახლის დასრულებას.

ვინ იყვნენ კომისიაში? ალექსი ბაიდოშვილი, ნიკოლა ზარაფიშვილი და ვინმე „ძიგოს ბიჭი". ამ ვაჟბატონებს მთლად დაუყლაპნიათ ცხვრები და ძროხები.—მაგალითად ნიკ. ზარაფიშვილს „რგებია" 200 ფუთამდეს ხორბალი. „ძიგოს ბიჭს" ორმოცდა ათი სული ცხვარი და, რასაკვირველია, არც ალექსი ბაიდოშვილი დარჩებოდა ხელცარიელი.

სხვა წვრილ ფეხშაფებს ხომ სათვალავი არა აქვს. მაგალითად, ვიღაც ირმას მხოლოდ ოთხი სული რგებია, და გლეხ კომის თავმჯდომარეს პლატონს შიშნიაშვილს კი ექვსი. ვაი იმ გლეხკომის ბრალი, სადაც ეს უკანასკნელი იყო!..

მაგრამ ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ მოუმოქმედებიათ,—სხვათა შორის ამ ვაჟბატონებმა მოახერხეს ხალხის დაშინება და ვერა ჰბედავენ ყველაფრის თქმას, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რევიზიის ენერგიული მოქცევა შესაფერ დასასრულს გამოიტანს და ხალხის კისერზე გალაღებულ პირთვენებს თავისას მიუზღავენ.

საბჭოთა ხელისუფლების სამსჯავროს წინაშე ისინი სასტიკ პასუხს აგებენ. ხალხის ნდობის გაცრუება და მათი ინტერესების ღალატი იაფად არავის არ დაუჯდება. ყველამ იცოდეს, რომ კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. საბჭოთა კანონიერებას ვერ გაექცევა ხალხის მტერი და მოღალატე.

შრაპნელი.

მთის დარაჯნი

მთათუშეთში ხშირია შემთხვევები, როცა ერთმანეთს ესხმებიან თავს და სტაცებენ ჯოგობით საქონელს. მცხოვრებთა დასაცავად მთავრობამ მიიღო ზომები და შეადგინა დამცველი სანაპირო რაზმი თუშებისა და ქისტების ურთიერთ შორის შურისძიების ასაკვეთად და სხვადასხვა თავხედურ თავდასხმის მოსასპობად. ეს რაზმი შესდგა მაისის 1-ლ რიცხვებში თელავის მაზრაში.

მთებზე კიდევ დიდი თოვლი იყო, როდესაც რაზმი გაემგზავრა.

ამ რაზმის მეტი რიცხვი შესდგება მთაში მცხოვრებ თუშებისაგან და ნაწილი კი კახელები და თათრები არიან.

ცხენით შეიძლება იმგზავროს ადამიანმა მთათუშეთში თიბათვის ნახევრის შემდეგ და მასზე ადრე კი, მოგზაურობა, არამც თუ ცხენით არამედ ფეხითაც ძალიან ძნელია გადასვლა. ისეთი მწვერვალებისა, როგორიც არის ფშავლის მთის მწვერვალი „ზეთავი", ამ მთის სიგანე უდრის 4 გოჯს.

უფრო მეტი: ამ უფსკრულს თუ გავიდა ადამიანი, ამაზე უარესია ალატანის ხეობაზე ჩასვლა. აქ მოგზაურობენ მაშინ, როდესაც ხეობა ამოვსებულია თოვლის ზვავებით და თუ ზვავები არაა, ადამიანისათვის იქ ჩასვლა დიდ საშიშროებას წარმოადგენს. როდესაც ჩვენი დამცველი სანაპირო რაზმი მოგზაურობდა, იმ ხანად ზვავები არ იყო და დიდ განსაცდელსაც მოელოდენ, მაგრამ მათ გამოიჩინეს სიყოჩაღე და გადავიდნენ ამ სახიფათო ხეობაზე.

ამ რაზმის მოგზაურობა ყოველთვის ასეთ განსაცდელს და საფრთხეს წარმოადგენს; მაგრამ მიუხედავად ასეთი საშინელებისა, ისინი მაინც შეუდრეკლათ, ერთგულათ და სინდისიერათ ემსახურებიან მთაში მცხოვრებ მშრომელ ხალხს და იცავენ მათ ყოველგვარ განსაცდელისაგან.

კახელი: ლ. მჭედლიშვილი.

გადასახლებულის ხმა

სოფელ ბალდოჯიანში ვცხოვრობთ ას კომლამდე, რომელნიც 4 წელია გადმოსახლებული ვართ ქვემო იმერეთიდან უმიწა-წყლობის გამო. მთავრობამ გადმოგვასახლა და კიდეც გვაკმაყოფილებს ყოველი მოთხოვნილებით: გვაძლევს მიწებს და სხვა ხელსაწყობს, მაგრამ საუბედუროთ ადგილობრივი წინამძღოლი, რომელიც ხალხისგანაა არჩეული, არ გვივარგა.

ეს ჩვენი რწმუნებული ცოტა ზარმაცობს, არ აქცევს სოფლის მოთხოვნილობებს ყურადღებას. არის ბევრი მოსაწყობი საქმეები. როგორც ახალ ჩამოსახლებულ ხალხს ბევრი რამე გვაკლია.

რკინის გზიდან 20 ვერ. მანძილით ვართ დაშორებული. გირვანქა ნავთისთვის გლეხი უნდა წავიდეს 8 ვერსზე ახალ სოფელში.

ამიტომ საჭიროა კოოპერატივი, გლეხკომი, გვჭირია საფერშლო პუნქტი, რადგან ეს ადგილი ციებცხელებიანია.

ორი კვირის წინად თელავიდან ჩამოვიდა მამაჯანოვი. მან გააკეთა მოხსენება კოოპერატივის, გლეხკომის და სხვა აქაურ საჭიროებაზე. ხალხი ძალიან კმაყოფილი დარჩა. მამაჯანოვმა დაავალა ადგილობრივ რწმუნებულს, რომ მოეხდინა კრება ამ საკითხის შესახებ და ოქმი გადაეგზავნა თელავში, რათა მოსულიყო სისრულეში. მაგრამ რწმუნებულმა ამ დავალებას ყური აარიდა და დღემდისაც არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა.

თითონ ბალდოჯაშვილი.

წერილებიდან

თავხედი მილიციონერი. აბაშის რაიონის ს. გულიკარში 8 აგვისტოს დღესასწაული იყო. არავითარ უწესობას ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ ნასვამი ხალხი კი ბლომად იყო. საღამოს ჟამს აბაშიდან თავს დაესხენ მოსეირნე ხალხს აბაშის ცხენოსანი მილიციონერები. ორმოც კაცამდე რიგიანად სცემეს. ზოგი ცხენით ათრიეს და თავში კონდახი ურტყეს.

ხალხმა კიდევ იმდენი მოთმინება იხმარა, რომ ხელი არ შეუბრუნა მათ, თორემ ალბათ მეტი უბედურება დატრიალდებოდა. ვნახოთ რას იტყვის ამის შესახებ სენაკის მაზრის მილიციის უფროსი და აღმასკომი?

მიხ. წევა.

გულმავიწყი შეფი. ზუგდიდის მაზრაში არის ცაიშის-კახათის თემი. ამ თემს შეფათ ჰყავს სარაიონო „ეპოს" გამგეობა, რომელსაც ერთხელაც არ მოუვლია ჩვენ სოფლისაკენ. გლეხები უკმაყოფილოა შეფის ასეთი უყურადღებობით და გულმავიწყობით.

ნ. მატუშვილი.

გამოუსადეგარი ფერშალი. გარეკახეთში, ს. ხაშმის საფერშლო პუნქტში მსახურობს რუსი ფერშალი ქალი, რომელსაც ქართული არა გაეგება რა. გლეხები იძულებული არიან ამიტომ შინაურ წამლობას ან ექიმბაში დახმარებას მიმართონ; გარდა ამისა ჩვენი ფერშალი დღის 12 ს. შემდეგ უარს ამბობს ავადმყოფების მიღებაზე. იყო შემთხვევა, როცა თოხით დაჭრილი გლეხი სისხლიდან იცლებოდა და მან არ მიიღო.

იოსაველი.

უდიერი ექიმი. სართიჭალის რაიონში არის ექიმი თოდუა, რომელიც უხეშათ ეპყრობა ავადმყოფებს. ამის გამო ზოგიერთი შეშინებული ავადმყოფები არიდულ პასუხს აძლევენ თავის სნეულების შესახებ. კარგი იქნება ექიმი თოდუა დაუკლებდეს ხმას ავადმყოფებთან ლაპარაკის დროს.

იოსებ აბაშიძე.

ნადირებმა აგვიკლეს. ლეჩხუმის მაზრის ს. ნაკურალეში ძალიან გახშირდა ნადირების თავდასხმა. ისე დილა არ გათენდება, რომ 4—5 სული საქონელი შეჭმული არ აღმოჩნდეს. ადგილობრივმა აღმასკომმა მიმართა მაზრის მონადირეთა კავშირს დახმარებისათვის. ამას წინად მართლაც გვეწვიენ მაზრიდან გამოცდილი მონადირეები, მაგრამ ისინი ადგილების დათვალიერებას და ბუნების სიმშვენიერით დატკბობას უფრო მოუნდენ, ვიდრე ნადირობას.

მთეგრული.

სოფლის ქრონიკა

— **ბარიტის ამოღება.** ლეჩხუმის მაზრაში ბარიტის მადნებთან ეწყობა მადნის სარეცხი აუზები.

— **ლეჩხუმის** სამაზრო აღმასკომმა ყველა ქოხ-სამკითხველოების გამგეები გაგზავნა თბილისში მოწყობილ კურსებზე.

— **კრამიტის ქარხანა.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა ნება დართო კერძო მოიჯარადრეს აეშენოს კრამიტის ქარხანა სოფელ [illegible] ახლო.

— **ახალი გზა-ტკეცილი.** რაჭის სამაზრო აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს გაიყვანოს ახალი გზატკეცილი ხარისთვალიდან დაბა ქრიმალომდე.

— **ქუთაისის** სამაზრო გლეხკომმა გაგზავნა აგარაკებზე 80 ომის და შრომის დასახიჩრებული.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— სახელმწიფო უნივერსიტეტის და მასთან არსებულ ქართულ მუშფაკის კომუჯრედების გაერთიანებული ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 14 აგვისტოს (სრულ 5 საათზე) ქართულ მუშფაკის შენობაში (სამოსწავლო შესახვევი № 4—2) შესდგება ქართულ მუშ-ფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედების გაერთიანებული მორიგი კრება. ქართულ მუშფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედების ყველა წევრები და კანდიდატები, რომლებიც არიან დარჩენილი თბილისში და მიმაგრებული ზემოხსენებულ უჯრედებზე, პარტ. დისციპლინის წესით უნდა გამოცხადდენ აღნიშნულ ადგილას დაუყოვნებლივ.

გაერთიანებული კომუჯრედების მდივანი ისიდორე გოგიბერიძე.

— ს. კ. პ. ცეკას საად. გან. განყ. სთხოვს ამხ. ამხ. გიორგი მიროტაძეს და თეოფილე კეჟაძეს გამოცხადდნენ ს. კ. პ. ცეკას საად. გან. განყოფილებაში.

ს. კ. პ. ცეკას საად. გან. განყ. გამგე: ზლაგიძე.

— თ. კ. საგ.-საპროპ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. კეჭხიევს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ამხ. კარელინთან.

— თ. კ. აღრიცხ.-განაწ. განყ. წინადადებას აძლევს ქვემო დასახელებულ ამხანაგებს აუცილებლად გამოცხადდენ ამხ. კვირიკაძესთან:

ს. გლავიცკი, მ. ავაქოვი, ნ. მალაშინი, ა. დარახველიძე, ი. შალეგია, ბ. დაშნიანი, ი. იორდანოვი, ი. შაცკი.

— თ. კ. აღრიცხ.-განაწ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. აკაკი მამაგეიშვილს და სურენ ბალაიანს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ა.-გ. განყოფილებაში ამხ. ტრაპაიძესთან.

განცხადებები

რაჭის სამაზრო პარტიული კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ 12 აგვისტოს დღის 3 საათზე გარდაიცვალა ქალაქ ონში პარტიის წევრი

ამხ. იასონ დოხნაძე

დაკრძალვა მოხდება 14 აგვისტოს სოფელ ნიკორწმინდაში.

1612 1—1

რაჭის სამაზრო აღმასკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, მოქალაქეთ, რომ მძიმე ნერვიული ავადმყოფობის შემდეგ 12 აგვისტოს დღის 3 საათზე გარდაიცვალა ბრებალოს უბნის სახალხო მოსამართლე

ამხ. იასონ დოხნაძე

დაკრძალვა მოხდება სოფელ ნიკორწმინდაში 14 აგვისტოს.

1612 1—1

ქალაქ ონის მუშა-მოსამსახურეთა კომუჯრედი მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ 12 აგვისტოს დღის სამ საათზე ქალაქ ონში გარდაიცვალა კომუჯრედის წევრი

ამხ. იასონ დოხნაძე

დაკრძალვა მოხდება სოფელ ნიკორწმინდაში 14 აგვისტოს.

1612 1—1

საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის რაჭის განყოფილება ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს კავშირის წევრის

ამხ. იასონ დოხნაძის

გარდაცვალების გამო ქალ. ონში 12 აგვისტოს დღის სამ საათზე. დაკრძალვა მოხდება 14 აგვისტოს სოფელ ნიკორწმინდაში.

1612 1—1

ღრმად დამწუხრებული რაჭის მაზრის იუსტიციის დარგის თანამშრომლები აუწყებენ ყველა ამხანაგებს დაუვიწყარ, ენერგიულ მუშაკის, ბრებალოს მოსამართლის

ამხ. იასონ დოხნაძის

უდროვოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფელ ნიკორწმინდაში 14 აგვისტოს.

1612 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ამხანაგები სამსონ შავლაძე და ივლიანე ჯანელიძე აუწყებენ ამხანაგებს, რომ 12 აგვისტოს დღის 3 საათზე ქალ. ონში გარდაიცვალა დაუღალავი მებრძოლი, კომ. პარტიის წევრი

ამხ. იასონ დოხნაძე

დაკრძალვა მოხდება სოფელ ნიკორწმინდაში 14 აგვისტოს.

1612 1—1

ღრმით დამწუხრებულნი მეუღლე პოლისი ელიშუხუს ასული, შვილები ელისა, ნესტორ, კაკი და კირილე, ქალიშვილები მარო ჯავახაძისა და მართა ჩხეიძისა, რძლები პელაგია, პასიკო, სონა, ოლია და ქეთევანა, სიძეები გერმანე ჯავახაძე და ბესარიონ ჩხეიძე შვილის შვილები ნინა, მიშა, ნინა, ანტუშა, დიტო, ზინა, დათიკო, არჩილ, სევერიანე, კუკური და ვახტანგი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს დაუვიწყარ და ძვირფას

ანტონ დავითის ძე ცინცაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ლანჩხუთში 15 აგვისტოს.

2266 1—1

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

ლანჩხუთის რაიონის მთლიანი კოოპერატივის

გამგეობა

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომელთაც აქვთ ვალი ჩვენი კოოპერატივის, რომ დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა, 10 დღის განმავლობაში ვინც არ გაასწორებს თავიანთ დავალიანებს, მათი სახელი და გვარი იქნება გამოცხადებული გაზეთ „კომუნისტში" და „მუშაში", რის შემდეგ საქმე გადაეცემა სასამართლოს.

ლანჩხუთის ეპოს გამგეობა.

2—1 ნ. 1615

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივლებით რენტგენი დიასპიტალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ქრონიკული ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—13

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის

განყოფილება

ამით აცხადებს ცნობად და შესასრულებლად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის 1925 წ. 14 მაისის № 68 სავალდებულო დადგენილების 39 და 41 მუხლებს.

§ 39. ყოველი სახლის პატრონი და იჯარით მოცემული სასახლეების, სასტუმროების, ქარვასლების, ღამის გასათევ სახლების, საჯარო-სამრეწველო დაწესებულებათა, ფაბრიკა-ქარხნების და სახელოსნოების მეპატრონეები, სახელმწიფო დაწესებულებათა, წარმოებათა და კოოპერატივების გამოუკლებლივ ვალდებულნი არიან იქონიონ თბილისის აღმასკომის მიერ შემუშავებული ნიმუშის სანიტარული რვეულები, რომელშიაც ჩანიშნული იქნება მათდამი კუთვნილი სახლების და დაწესებულებათა დათვალიერების შედეგები და ცნობები დათვალიერების დროს შემჩნეულ ნაკლთა და სანიტარულ წესების შესრულების შესახებ.

§ 41. ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ ამ სავალდებულო დადგენილებას, ადმინისტრატიული წესით გაგზავნილი იქნებიან იძულებით სამუშაოზე ან დაპატიმრებული იქნებიან ორ თვემდე ან დაჯარიმებული 100 მანეთამდე.

ამით ცხადდება, რომ 1925 წ. 14 მაისის № 68 სავალდებულო დადგენილების თანახმად

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი

საზოგადოება

იწყებს სანიტარულ რვეულების გაყიდვას თავის რწმუნებულების საშუალებით.

რვეულის ფასი 1 მანეთი

ნაძალადევისა, დიდუბისა, ხავთლულისა და ორთაჭალისათვის—50 კაპ. ძველი რვეულები გაუქმებულია.

რვეულების შეძენის ვადა ორი კვირაა ამა განცხადების გამოქვეყნებიდან.

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება.

ნ. 1613—1—1

ექიმი გ. ა. ლეკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

სასახლის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. შენ.

25—3

ბორჯომი

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფებს მიიღებს მისამართით:

როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 17

ზოსინის აგარაკი.

15 თიბათვიდან 15 ენკენისთვემდე

25—2

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

[illegible] დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. [illegible] პროსპექტი № 136, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

25—17

ექიმი ი. დ. თოფურიძე

[illegible] ქუჩა (ყოფილი [illegible]) № 33.

[illegible]

25—19

ქალთა ექიმი

ფ. დ. რატიან ფუხარელისა

[illegible] მიღება 10—2 საათამდე და 5—8 სათ. [illegible] ქუჩა № 10 [illegible]

25—19

ექიმი დ. ბ. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(ძველი და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ლერმონტოვის ქ. № 77, [illegible]

25—14

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

[illegible] და განახლდა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—93 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

25—18

ექიმი ა. ა. ფონ-ირეტელი

[illegible]

25—15

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)

მიღება კაკ. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. ხოლო ქალების 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 4.

25—19

ექიმმა შუხმანმა

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალების დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

21—3

ექიმი ბ. გოლდშტეინი

იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე. ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორგება უფასოთ საქ. სახელმწიფო მეურნეობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე.

25—12

ექ. ა. ე. უზლანერ

ვენერიულ. კანის და შინაგანი ავადმყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. 4 ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ. მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე.

25—2

მანგლისი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6 საათამდე. 25—8

ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

ექიმი ბ. ი. შაპელნიკოვი

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.

25—21

ექიმი ბ. ბ. მეგრაბიანი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—13

პროფესორი გ. მ. მუხაძე

საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.

1960 25—10

ექიმი

ალ. გ. მაღლაშვილი

ბავშვთა სნეულებანი.

იღებს 2—4 ს. 5—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12. 25—2 2153

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 3.

25—21

წალვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მოზ

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკი № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

25—15 1795

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

[illegible] ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.

25—20

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ალექსანდრე ინაკავიძის სახელზე. ჩ. გ. 2269 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 15134 ბიქტორ ანდრიას ძე უჯმაჯურიძის სახელზე. ჩ. გ. 2268 1—1

დაიკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი მიხეილ იოსების ძე წიწუაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2265 1—1

დაიკარგა საამშენებლო პროფკავშირის წიგნაკი № 1006 იოსებ სანდროს ძე ნინიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2267 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ქაღალდი № 3283 ვით ნესტორის ძე ფანჩულიძეს სახელზე. ჩ. გ. 2269 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 815 ივანე (ვანო) ყარამანის ძე ლომთაძის სახელზე. ჩ. გ. 2273 1—1

დაიკარგა პარტიული მანდატი მიღებული ახალგაზრდა კომკავშირის თბილ. ორგანიზაციის მე-4 რაიკომიდან გალინა კურცხალიას სახელზე № 7092. ჩ. გ. 2275 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი მოცემული მე-4 უბნის კომისარიატიდან შიო ივანეს ძე კაციტაძის სახელზე. ჩ. გ. 2270 1—1

დაიკარგა პასპორტი მიხეილ ალანოვის სახელზე. ჩ. გ. 2272 1—1

დაიკარგა ატესტატი № 889 მოცემული ქ. ქუთაისის მე-5 ტექნიკუმიდან 5 ივლისი (კლ. ს. [illegible]) გრიგოლ [illegible] სახელზე. ჩ. გ. 2274 1—1

ტირაჟი—20 560

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4